პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და საქ. საბჭ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე 2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. კოლექტიური 100,000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

პარიზის კონფერენცია დამთავრდა.

ანგორის მთავრობამ წინადადება მისცა [illegible] რატიული ზავი დადოს იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც [illegible] ბენ ეროვნულ ხელშეკრულებას.

ლოზანის კონფერენციის მდგომარეობა გამოურკვეველია.

ინგლისის სარეპარაციო გეგმებმა დიდი გაკვირვება გამოიწვია პარიზში.

ინგლისში უმუშევრობა საშინელ ხასიათს ღებულობს.

იტალიაში რეპრესიები გრძელდება.

№ 4 შაბათი, 6 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 4

პარიზი და ლოზანა

კიდევ ერთი დამარცხება განიცადეს მსოფლიო პოლიტიკის დღევანდელმა მესვეურებმა, „მოკავშირე" მთავრობებმა.

ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ პარიზის თათბირს, რომელიც გაიხსნა 2 იანვარს და 4-ს უკვე დაიხურა.

პარიზის თათბირი იყო გაგრძელება ლონდონის თათბირისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წლის ბოლო თვეებში, და მის პროგრამას შეიცავდა რეპარაციების და საკავშირო ვალების საკითხები: მათგან ძირითადი და უმთავრესი იყო პირველი.

სარეპარაციო საკითხში და საერთოდ გერმანიის მიმართ დამოკიდებულებაში ორმა შეურიგებელმა თვალსაზრისმა იჩინა თავი, ორმა გარდაუვალმა წინააღმდეგობამ.

ინგლისს სურს შეუმსუბუქოს გერმანიას ვერსალით დაკისრებული მძიმე ტვირთი. ის მოითხოვს, რათა საგრძნობლად შეუმცირდეს გერმანიას კონტრიბუციის რაოდენობა, მიეცეს მას მორატორიუმი ყოველგვარ გარანტიის გარეშე, გერმანიის მიერ აღებულ ვალდებულებათა ასრულებაში მეთვალყურეობისათვის საკონტროლო კომიტეტის დაარსებას, ნეიტრალურ სახელმწიფოების მონაწილეობით და გერმანიის ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და საერთოდ მეტ „პატივისცემას" გერმანიის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტისადმი და მისთვის სამეურნეო აღორძინების შესაძლებლობის მინიჭებას.

საფრანგეთის პროექტი კი აგებულია გერმანიის სუვერენიტეტის შელახვაზე, მის შინაურ ცხოვრებაში ჩარევაზე, ზოგიერთი სამრეწველო დარგის და საშემოსავლო წყაროს ჩამორთმევაზე, მოკავშირეთა კონტროლის დაწესებაზე გერმანიის წარმოებასა და ფინანსებზე. საფრანგეთის მიზანია—ამოსწუროს გერმანიიდან უკანასკნელი შესაძლებლობა, რათა ამ გზით აღადგინოს თავისი დანგრეული მეურნეობა, გამოაწუროს საფუძვლამდე დაშლილი ფინანსები, ამასთან იმდენად დაასუსტოს საშიში მეზობელი, გერმანია, რომ მას არასოდეს ფიქრადაც არ მოუვიდეს რევანშის სურვილი.

გერმანიის ასეთ დასუსტებას და მის ხარჯზე საფრანგეთის გაძლიერება-გამდიდრებას ვერასოდეს ვერ შეურიგდება ინგლისი, არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ მას ჰუმანიური გრძნობები ამოძრავებდეს, არამედ თავისი შიშველი იმპერიალისტური მოტივებით.

შედარებით მძლავრი და მდიდარი გერმანია ინგლისს ესაჭიროება, როგორც თავისი ნაწარმოების კარგი გამსაღებელი; უმთავრესი კი ის არის რომ ინგლისს ეშინია საფრანგეთის გაძლიერების, როგორც თავის მომავალ კონტინენტალურ ჰეგემონს მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთი ჰეგემონი შექმნა გერმანია, და მსოფლიო ომში იმიტომ ჩაება ინგლისი, რომ მოეშორებინა ეს მოწინააღმდეგე. ეხლა კი საფრანგეთი იჩენს მისწრაფებას დაიჭიროს გერმანიის ადგილი ინგლისის მიმართ; ამას ინგლისი, ცხადია არ დაუშვებს და ამ მიზნით იგი ეხმარება გერმანიას, რომელიც სურს დაუპირდაპიროს საფრანგეთს და ამგვარად შეასუსტოს ამ უკანასკნელის ძალა.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებულმა წინააღმდეგობამ, რომელმაც უშედეგოდ დაამთავრა წინად ლონდონის თათბირი, ასეთივე ბედი არგუნა დღეს პარიზის თათბირსაც.

ინტერესთა შეურიგებლობა ისე მკაფიო და მკვეთრი აღმოჩნდა, რომ თათბირმა მხოლოდ 3 სხდომის გამართვა მოასწრო.

ეხლა საჭირო იყო მოკავშირეთა შორის თუგინდ მოჩვენებითი შეთანხმების დემონსტრაცია მაინც, ვინაიდან პარიზის თათბირის შედეგებს უეჭველად ექნება გავლენა ლოზანის კონფერენციაზე, სადაც „მოკავშირენი" წამდგარნი არიან ოსმალეთის და რუსეთის დელეგაციების წინაშე მიუხედავად გარეგნულად რიხიანი ტონისა, რომლითაც მოკავშირენი ინგლისის მეთაურობით მიმართავენ ოსმალეთს და რუსეთს, მიუხედავად გადაჭარბებულ მოთხოვნებისა, რომლებსაც ისინი მათ უყენებენ, თვით ლოზანის კონფერენციის მსვლელობაშიც ცხადია, რომ ინგლისს და საფრანგეთს აქ არა აქვთ გამერთიანებული ერთიანი ფრონტი. სხვათა შორის ამით აიხსნება ერთი მხრით ის ფაქტი, რომ ლოზანის კონფერენციის მუშაობა ერთ წერტილზეა გაყინული, მეორე მხრივ სიმტკიცე ოსმალეთის და რუსეთის დელეგაციების პოზიციისა.

პარიზის თათბირმა ერთხელ კიდევ საჯაროთ ცხად ყო ინგლის-საფრანგეთ შორის არსებული უფსკრული, და ამ გარემოებამ უფრო მეტი გამბედაობა უნდა შესძინოს ოსმალეთს.

საერთოდ კი პარიზის თათბირმა, ისე როგორც ბურჟუაზიულ მთავრობების ყველა კონფერენციებმა, ზედმეტჯერ დაანახვა კაცობრიობას, რომ იმ მეთოდებით და საშუალებებით, რომლებსაც მიმართავენ ისინი, შეუძლებელია სადაო საკითხების გადაჭრა და ქვეყნად მშვიდობიანობის ჩამოგდება. მეორე მხრივ, ისიც ცხადია ყველასათვის, რომ სხვა გზა მათ, როგორც იმპერიალისტებს, არ გააჩნიათ. მათი პოლიტიკა ყოველთვის იყო და არის დამყარებული სხვა ხალხების ძარცვასა და დამონებაზე და ამიტომ მუდმივი წყარო ომის და სისხლის ღვრის.

კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს.

ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან

II

სამოქალაქო ომის პერიოდის განვლის შემდეგ „სამხედრო კომუნიზმის" მეთოდები ბუნებრივად მოიხსნა დარწმუნებული იმაში, რომ დაძლეულია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა, საბჭოთა ხელისუფლება არბილებს იძულების აპარატს. ყველა მოქალაქეს ეძლევა საშუალება კონსტიტუციის ფარგლებში თავისუფალი მსჯელობის და მოიპოვება ყველა გარანტია თავდაცვისა. ეს მდგომარეობა ხელსაყრელად გამოიყენა ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ და განაახლა გააფთრებული იერიშები პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, მხოლოდ უფრო მოხერხებული და შემპარავი სახით. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერებას და იდეოლოგიას დიდი ტრადიციით და გამოცდილებით აქვს ზურგი გამაგრებული; პროლეტარიატის სულიერმა კულტურამ კი ახლახან მოიპოვა თავისუფალი შემოქმედების საშუალება და მოკლე პერიოდში ვერ მოასწრო წამოეყენებია კადრი საკუთარი მეცნიერების პოეტების, მხატვრების და სხვა. ამასთანავე დიდძალი ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც მიგვემხრო ჩვენ გამარჯვების მომენტში და გარეგნულად სცნო საბჭოთა რეჟიმი, არ განთავისუფლებულა, ვერ განთავისუფლდებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიისაგან: მასში დასაბუდრებულია ბურჟუაზიული აზროვნება, რომელიც უფრო გაცხოველდება, თუ ბურჟუაზიულ იდეოლოგიამ თავისუფლათ განაგრძო საზოგადოების სხეულში საწამლავის შეშხაპუნება. ამიტომ პარტიულ ორგანოებს და ხელისუფლებას მართებს გამოუცხადონ სასტიკი ბრძოლა ბურჟუაზიულ კულტურული ტენდენციების ზრდას. უნდა ფართოდ იქნას დაყენებული აგიტაციის და ცოდნის პოპულარიზაციის საქმე მარქსისტული და წმინდა მეცნიერული გაშუქებით ყველა საფეხურების სკოლებში უნდა შეიჭრას კომუნისტური განათლების სხივები.

გაზეთიც—ეს მასსიური პოლიტიკური აღზრდის იარაღი უნდა მივაწოდოთ მუშურ-გლეხურ ფართო წრეებს და გავხადოთ მათ მიუცილებელ მოთხოვნილებად. თუ კაპიტალისტურ სამყაროში პრესა ემსახურება ბურჟუაზიის ბატონობას, საბჭოთა პრესამ ხელი უნდა შეუწყოს მუშურ-გლეხური ხელისუფლების იდეოლოგიურად განმტკიცებას.

გაუსწორებელ ბურჟუაზიულ მეცნიერებს, რომლებიც იდეალიზმის ქურქში გახვეულნი, იდეურად ამზადებენ კონტრ-რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში სახელმწიფოს საზღვრებიდანაც კი აძევებს. ეს, საჭირო შემთხვევებში მიზანშეწონილი და გონივრული ღონისძიებაა.

საქართველოში ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ მეტად მოიკოჭლებს. სოკოსავით გამრავლებულია ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც წმინდა ლიტერატურული ძიების ნიღაბქვეშ სწამლავენ საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ზოოლოგიური ნაციონალიზმით და საღი ესთეტიური აღზრდის მაგიერ სჩრიან მის ტვინს ფანტასტიურ ბოდვას. საკვირველი ისაა, რომ ეს გამომცემელი აჭრელებული სახელმწიფო დაწესებულებათა სავსე განცხადებებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პატივცემული დაწესებულებანი თავისი უხვი ქვეყნის მომქმედებით სულს უდგამენ ამ ლიტერატურას".

დროა აღკვეთილ იქნას ეს უმსგავსობა.

იმ საბუთების მიხედვით, რომელიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება, საბჭოთა საშუალო და უმაღლესი სკოლა იდეალისტურად და დუალისტურ მოძღვრებებით ჰკვებავს ჩვენს ახალგაზრდობას და მარქსისტულ აღზრდას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საბჭოთა და პარტიული გაზეთი ვერ არის მჭიდროდ დაკავშირებული მშრომელთა ფართო მასებთან. ტირაჟი ჩვენი გაზეთებისა შედარებით უმნიშვნელოა. არაა მოწყობილი კოლექტიური ხელისმომწერნი, რის შესახებ დიდი კამპანია არის გაწეული საბჭოთა რუსეთის პრესაში. სამეცნიერო-პოპულიარული ჟურნალები თითქმის არ მოგვეპოვება. ეროვნული პოლიტიკური ლიტერატურა ძალიან მცირეა. საერთოთ ამ მხრივ მუშაობა უნდა გაათკეცებული იქნას.

კომუნისტური იდეოლოგიის ოაზისად ჩაითვლება ცენტრალური პარტიული სკოლა და რამდენიმე მარქსისტული წრე თბილისში, რომლებშიაც მეცადინეობა ნორმალურად წარმოებს, მარქსისტული ცოდნის წრეებით უნდა დაიფაროს საქართველოს პროვინცია. პარალელურად, იწარმოებს მუშაობა უმაღლესი სკოლის „გამუშურებისათვის" მუშათა ფაკულტეტების გაძლიერებით მასში. უახლოეს 7-10 წლის განმავლობაში შეიქმნება წითელი სპეცების კადრი, რომელიც გაუძღვება საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს და წაიყვანს მუშურ გლეხურ სახელმწიფოს [illegible] შრომის ხალხის ნაპირებისაკენ.

ეს პერსპექტივაა, „მომავლის მუსიკაა", ხოლო ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოტევა დაუყონებლივ უნდა იქმნას მოგერიებული. ვისაც ლაზღანდარობისთვის ხელი ეშლება რევოლუციის და მუშათა კლასის [illegible], ის დროზე უნდა იქმნას [illegible].

ჩვენ ვერავის ვერ მივცემთ საშვალებას მშვიდი სალიტერატურო მუშაობის ნიღბის ქვეშ შოვინისტური გესლი აწთოს და ახალგაზრდობის სულიერ-გონებრივ გახრწნას ემსახუროს.

ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ პირველ ხარისხოვანი ამოცანაა და ჩვეულებრივი სიმტკიცით უნდა ჩატარდეს სათანადო კამპანია.

ი. გ.

კომუნისტური პარტია ბოლგარეთში

ბოლგარეთი მიწადმოქმედ ქვეყანაა: მცხოვრებთა ოთხი მეხუთედი სცხოვრობს სოფელში და ეწევა უმთავრესად მიწადმოქმედებას.

მაგრამ, ყოფილ მეფის რუსეთისაგან ის განსხვავდება მით, რომ ბოლგარეთში მემამულეები არ არიან. თუმცა და უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხები ბევრია: გლეხობის 45 პროცენტს მოეპოება ორ დესიატინაზე ნაკლები მიწა, ხოლო 41 პროცენტს აქვთ ერთი დესიატინიდან 10 დესიატინამდე. თუმცა მიწა ძლიერ ნაყოფიერია, მაგრამ მას ამუშავებენ კიდევ პირველყოფილი წესით და მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, მისი მოსავლიანობა დიდი არ არის.

მაგრამ ეს მცირედიც, რასაც მიწა იძლევა, არ რჩება გლეხების ხელში: სახელმწიფო მათ აწერს უზომო გადასახადებს (უმთავრესად არაპირდაპირს) სოფლის მევახშეები და კულაკები სძარცვავენ მათ შეუბრალებლად, ხოლო სტიქიური უბედურება ხშირად ყველაფერს ანადგურებს. ბოლგარეთის გლეხების ხვედრია სამძიმო მუშაობა, მოთმინება და სიმშილი.

ომმა, რომელმაც სოფლებში და ქალაქებში შექმნა მდიდართა კლასი, კიდევ უფრო გააუარესა ღარიბ გლეხობის მდგომარეობა. უკანასკნელმა დიდი მსხვერპლი გაიღო ბრძოლის ველზე, მათ წილად ხვდა განადგურება და უზომო სიღატაკეში ცხოვრება. მაგრამ სამაგიეროდ ჭკუა მაინც ისწავლეს.

რუსეთის მუშების და გლეხების რევოლუციამ კიდევ უფრო აუხილა მათ თვალები. ომამდე ბურჟუაზია სრული ბატონი იყო, როგორც მათი შრომის და ქონების, ისე მათი აზრის და სულის. მაგრამ განვლილ სისხლის ღვრისა და განადგურების მწვავე გამოცდილების შემდეგ დაიწყო ბოლგარეთის სოფლების აჯანყება. ღარიბ გლეხების უფრო შეგნებული ნაწილი მაშინვე გადავიდა კომუნისტური პარტიის მხარეზე, ხოლო ნაკლებად შეგნებული, რომელიც შეადგენდა უმრავლესობას, შევიდა მიწადმოქმედების კავშირის რიგებში.

კომუნისტური პარტია, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი მუშების და ღარიბ გლეხობის კავშირის შესახებ, მოკლე ხნის განმავლობაში გახდა პირველ-ხარისხოვანი რევოლუციონური ძალა.

მაშინ დაშინებულმა ბურჟუაზიამ დაუთმო სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მიწადმოქმედების კავშირს, რათა ჩამოეცილებია ის კომუნისტური პარტიისაგან. ძველმა ბურჟუაზიულმა პარტიებმა ერთხელ კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ღარიბი გლეხები, მაგრამ ამ შემთხვევაში მიწადმოქმედების კავშირის საშუალებით.

მიწად-მოქმედების კავშირი ხელისუფლებას სათავეში უდგას უკვე სამი წელია. სოფლის მასებს საშუალება მიეცათ გაეცნოთ ის როგორც მისი სიტყვით, ისე მისი საქმით. ხოლო მისი საქმე სრულებით ვერ ამართლებს მის სიტყვას თუმცაღა ამ კავშირის მომხრეთა უმრავლესობას შეადგენენ ღარიბი გლეხები, მაგრამ მისი პოლიტიკა სინამდვილეში უფრო მეტს სარგებლობას აძლევს ბურჟუაზიას, განსაკუთრებით სოფლის ბურჟუაზიას.

ღარიბ გლეხებს კარგი ზღაპრები და ტყუილი დაპირებანი, ხოლო მდიდრებს არსებითი სარგებლობა აი მოკლეთ, რა ახასიათებს მიწად-მოქმედების კავშირის ხელისუფლებას.

მაშინ დაიწყო გლეხებში უკმაყოფილება მიწად-მოქმედების კავშირისადმი და გაძლიერდა მათი სიმპატია კომუნისტური პარტიისადმი, ამ ჟამად ბოლგარეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენს მტკიცე კავშირს მუშების და ღარიბ გლეხობის შორის

მისი წევრების ორ მესამედს (სულ დაახლოებით 40,000 კაცამდე) შეადგენენ გლეხები. მრავალ სოფელში მოიპოება პარტიული კომუნისტური ჯგუფები და კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირები.

ღარიბი გლეხობა დიდი ინტერესით ეპყრობა კომუნისტურ განათლებას. პარტია სცემს სპეციალურ კომუნისტურ გაზეთს გლეხობისათვის ფართოდ ვრცელდება სოფლებში კომუნისტური წიგნები და ბროშურები. კომუნისტური სახლები, რომლებიც გლეხებმა ააშენეს შემოწირულებების და წითელ კვირეების საშუალებით, წარმოადგენენ სოფელში სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს.

პარტიის გავლენა სოფელში დღითი დღე იზრდება. მრავალ ადგილებში ეწყობა პოლიტიკური კრებები, რომელსაც დიდი ხალისით ესწრებიან გლეხები. ამ კრებებზე გამოდიან კომუნისტი ორატორები.

ჩვენი ჯგუფები სოფლებში აწარმოებენ ენერგიულ ბრძოლას სოფლის კულაკებისა და საზოგადოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პარტია დიდ გამარჯვებებს აღწევს სოფლის არჩევნებში გლეხობის ერთი მეოთხედი ნაწილი, მიუხედავად მთავრობის ტერორისა და კულაკების წინააღმდეგობისა, უკვე ხმას აძლევს კომუნისტურ პარტიას. პარტიას პარლამენტში ჰყავს 52 დეპუტატი, სადაც სულ მოიპოება—228 დეპ. მას ჰყავს აგრეთვე ხმოსნები თითქმის ყველა სოფლის თემებში ხოლო ბევრი მათგანი სავსებით კომუნისტების ხელშია.

არის სახელმწიფოში მთელი რიგი გლეხობის რაიონებისა, რომლებშიაც ამ ჟამად გლეხობის დიდი უმრავლესობა აშკარად ემხრობა კომუნისტურ პარტიას.

მუშების და გლეხების დაახლოვებისა და მათი კავშირის განხორციელების და განმტკიცებისათვი, პარტია ხშირად იწვევს გლეხებს საერთო მუშათა მიტინგებზე ცენტრში. დაუვიწყარი იქნება მუდამ ის გრანდიოზული კრებები, რომლებიც პარტიამ მოიწვია ამა წლის ოქტომბერში ყველა საოლქო (საგუბერნიო) ქალაქებში. გლეხების მრავალრიცხოვანი მასები მწყობრად, სასტიკ სამხედრო დისციპლინის ქვეშ, უამრავ წითელ დროშებით და ცხვირს ხოცებით მიემართებოდენ ქალაქებში მუშებთან ერთად და მართავდენ წარმტაც და გრანდიოზულ დემონსტრაციებს, რომელიც ძლიერ აღელვებდა ბურჟუაზიას.

იდეა ჩაქუჩის და ნამგალის კავშირის შესახებ ძლიერ პოპულიარულია გლეხების მასებში. იმ ღარიბ გლეხებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ ირიცხებიან მიწად-მოქმედების კავშირში, ძლიერ მოსწონთ ეს იდეია და კომუნისტების გავლენა მათზე დღითი დღე იზრდება.

უკვე არავის არ შეუძლია გლეხების წაყვანა ქალაქის მუშების და კომუნისტების წინააღმდეგ. პირიქით ისინი ხალისით ითვისებენ კომუნისტურ ლოზუნგებს, და მათი გავლენით მიწად-მოქმედების მთავრობა იძულებული იყო შეესუსტებია, თავისი რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ და გაელაშქრებია ძველ ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ. ის იძულებული იყო დაეპატიმრებინა და პასუხისგებაში მიეცა ყველა ყოფილი მინისტრები რომელთა შესახებ ხალხის დიდმა უმრავლესობამ (75 პროც.) კენჭის ყრის გზით გამოსთქვა ის აზრი, რომ ისინი არიან დამნაშავენი იმ უბედურებაში, რომელიც თავს დაატყდა სახელმწიფოს ომის გამო.

კომუნისტური პარტია ბოლგარეთში თავისი ენერგიული მუშაობით გლეხობის შორის უსათუოდ მიაღწევს იმას, რომ გადაიყვანს მას კომუნიზმის, საბჭოთა ხელისუფლების და რევოლუციის მხარეზე.

საბჭოთა რუსეთ-სადმი ბოლგარეთის გლეხები იჩენენ დიდ სიმპატიას, ისინი აღტაცებულნი არიან ოქტომბრის რევოლუციით და მუშათა და გლეხთა რუსეთის თავგამოდებითი აღმშენებლობით.

ისინი არა თუ ესალმებოდენ გულაბდილად წითელი არმიის თვითეულ გამარჯვებას კონტრ-რევოლუციონურ ჯარებზე და აგრეთვე საბჭოთა რუსეთის გამარჯვებას საერთაშორისო იმპერიალისტების წინააღმდეგ, არამედ საქმითაც, როდესაც მათ საშუალება მიეცემოდათ, ეხმარებოდენ მათ.

მუშები და გლეხები, კომუნისტური პარტიის მოწოდებისას, ნებაყოფლობით აგროვებდენ შემოწირულებას რუსეთის დამშეულთათვის, ისინი ამ ჟამადაც აგროვებენ შემოწირულებას ქუჩის ბავშვთათვის.

ხოლო როდესაც, ამ რამდენიმე ხნის უკან გამოირკვა, რომ ვრანგელის ჯარები ჯგუფდებიან და კვლავ ამზადებენ თავდასხმას საბჭოთა რუსეთზე, სურდათ რა ბოლგარეთის სამხედრო მოქმედების ბაზად გამოყენება—მთელი მშრომელი ბოლგარეთი, როგორც ერთი კაცი, გამოეხმაურა კომუნისტური პარტიის მოწოდებისა და ლოზუნგს: „შორს ვრანგელის კონტრ-რევოლუციონური გენერლები და შტაბები", „თავისუფლება რუსეთის იმ ჯარის-კაცებს და ყაზახებს, რომლებმაც მოინანიეს თავიანთი ცოდვები",—და აიძულა მთავრობა განედევნა ვრანგელის ოფიცრების ბანდა და დახმარება აღმოეჩინა ჯარისკაცებისათვის სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

ვ. კოლაროვი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჰააგის მსოფლიო კონგრესი.

— ასეთ კონფერენციების შემდეგ—ამბობდა კონგრესზე ერთ-ერთი რეფორმისტი დელეგატი, ჩვეულებრივ ახალი ომები იწყებაო და ეს დახასიათება სწორია. **კონგრესზე მოწვეული იყვნენ პაციფისტური და მორწმუნე საზოგადოებანი, კვაკერები, ძველი პაციფისტური მშვიდობიანობის მოყვარული—დამები, გრაფები დიპლომატიურ საქმიანობას მოკლებულნი, 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების და აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან ერთად. კომუნისტები და ანარქისტები არ იყვნენ მოწვეულნი,** ალბად იმიტომ, რომ კონგრესი შესდგებოდა იმ პარტიებისაგან, რომელნიც მედგრად იბრძოდენ ომის წინააღმდეგ მშვიდობიანობის დროს, მაშინ როდესაც მოსკოვის ორგანიზაციები იბრძოდენ ომის წინააღმდეგ ომის დროს.

ჩვენ რუსეთის დელეგაციის სახელით, წინადადება მივეცით შეექმნათ ერთიანი მუშათა ფრონტი, არა მუქარისა და უნაყოფო რეზოლიუციების ნიადაგზე, არამედ რეალურ პრაქტიკულ მოქმედებათა საფუძვლებზე. ჩვენ წინადადება მივეცით იანვრის შუა რიცხვებში გამოეცხადებიათ ერთი დღით საპროტესტო გაფიცვები ვერსალის ხელშეკრულების, რეპარაციების, ფაშისტურ „პოგრომების" და საერთოდ ბურჟუაზიულ დიქტატურის წინააღმდეგ და შრომის ძალაუფლებისათვის ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით, რომ დღის წესრიგში შეეტანათ ყოფილიყო საკითხი, ლოზანის კონფერენციის, ლონდონის მოლაპარაკების და რეპარაციების შესახებ და გამოეტანათ ყოფილიყო კონკრეტიული პრაქტიკული რეზოლიუციები. ყველა ჩვენი წინადადებანი უარყოფილ იქნა, შეკრებილი რეფორმისტები და პაციფისტები განუწყვეტელ კრიტიკას აწარმოებდენ და გუნდრუკს უკმევდენ იდეალურ ერთობას, რომელიც აშენებული იქნება იდეალურ სტატუტის საფუძვლებზე, რომელსაც კონგრესის ქვეკომისია გამოიმუშავებდა.

ჩვენმა დელეგაციამ დაარღვია ამ პაციფისტურ-რეფორმისტულ ჰააგის პიკნიკის კეთილდღეობა.

წმინდა რუსული ბარბაროსობით ჩვენ განვაცხადეთ: თქვენ ომის წინააღმდეგ ბრძანდებით, მაშ კეთილ ინებეთ დაიწყოთ განსაზღვრული მოქმედება ამ მიმართულებით, მაგალითად, აწარმოეთ ჯარებში პროპაგანდა, გაანიარაღეთ ფაშისტები და შეაიარაღეთ მუშები. რათა შევყვებოდით პაციფისტურ ჯენტლმენების და „ლედის" ფსიქოლოგიას, ჩვენ შევიმუშავეთ რეზოლიუცია 14 მუხლისაგან შემდგარი, მოვიგონეთ რა, რომ ვილსონის 14 მუხლი იყო თავის დროზე საერთაშორისო პაციფიზმის ალფა და ომეგა. **ჩვენ რეზოლიუციას კბილიც არ უყარეს.** ყრილობის პრეზიდიუმი, რომელიც არავის არ ერჩოდა, სრულიად საკმარისად სთვლიდა, რომ კეთილგანწყობით ხვდებოდა დელეგატებს დაიმშვიდებდა სული კონგრესზე და თავის რეზოლიუციებს სთვლიდა არა სავალდებულო ნაკუწ ქაღალდათ.

დასკვნა, რომელიც ჩვენ გამოვიტანეთ იყო შემდეგი:—**მშვიდობიანობისათვის ბრძოლა შესაძლებელია იქნეს წარმოებული მხოლოდ დაუზოგავ კლასიურ ომის და პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის საშუალებით. ჩვენ ვფიქრობთ რომ მოვახერხებთ ერთიან ფრონტის შექმნას (ჩვენ აშკარად განვაცხადეთ ეს ჰააგის კონგრესზე) რეფორმისტულ წინამძღოლების სურვილის წინააღმდეგ.**

ლოზოვსკი.

რადიო-დეპეშები

ლოზანის კონფერენცია

საფრანგეთის დელეგაცია.

ლონდონი. 5 იანვარი. **საფრანგეთის დელეგაციამ ლოზანაში მიიღო ინსტრუქცია იმოქმედოს ინგლისთან სრული შეთანხმებით.**

საზავო ხელშეკრულების პროექტი.

მოსკოვი. 5 იანვ. მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზე, კერზონის [illegible] გამო, მეტად გამწვავებულია. ხმების თანახმად, 4 იანვარს მოკავშირეებს უნდა წარედგინათ ოსმალეთისათვის საზავო ხელშეკრულების პროექტი, და მიეცათ ერთი კვირის ვადა პასუხის გასაცემად.

ეროვნული ხელშეკრულება.

მოსკოვი. 5 იან. ანგორის მინისტრთა კავშირმა წინადადება მისცა ისმეთ-ფაშას, დაჟინებით მოითხოვოს ეროვნული ხელშეკრულების პირობების შესრულება და [illegible] უფლებით მოაწეროს ხელი სეპარატიულ ზავზე იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც დაითანხმებენ აღიარონ ეროვნული ხელშეკრულება.

სამხედრო მოქმედებანი.

მოსკოვი. 5 იან. ათენიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ჯარები მიემართებიან მოსულიდან.

მოსულის საკითხი.

მოსკოვი. 5 იან. თანდათან ირკვევა, რომ მოსულის საკითხი არ იქნება მოწესრიგებული ლოზანაში. ადვილი შესაძლებელია, რომ მოსული დაუბრუნდება ოსმალეთს ზავის ჩამოგდების შემდეგ, სამაგიეროთ იმისა, რომ ოსმალები დაამტკიცებენ ინგლისის ნავთის კონცესიებს.

საკითხი ეროვნულ უმცირესობის შესახებ.

ლონდონი. 4 იან. ეროვნულ უმცირესობის დაცვის კომისიამ მოაწესრიგა ეროვნობრივი სამართლის სტატუტი ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიანებისთვის. ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტია ამნისტიის და ეროვნულ უმცირესობათა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების საკითხები, და აგრეთვე პატრიარქატის საკითხი.

უკანასკნელ საკითხის შესახებ კაკლომანოსი იცავდა ბერძნების თვალსაზრისს და ინგლისის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ მისი მთავრობა პატრიარქატის სტამბოლიდან გადატანის წინააღმდეგია. ოსმალეთის დელეგატმა [illegible]-ბეიმ განაცხადა, რომ საბერძნეთის წინადადებები მიუღებელია ოსმალეთისათვის.

შესაძლებელია კონფერენციის დროებით შეწყვეტა.

ლონდონი. 4 იან. მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზე უცვლელია. თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული პატრიარქატის საკითხში, შესაძლებელია კონფერენციის დროებით შეწყვეტა. ამერიკის წარმომადგენლის მოთხოვნის გამო ოსმალეთში ეროვნულ უმცირესობათათვის ეროვნულ კერის დაწესების შესახებ, ეს უფრო საქმიანი ხასიათის მოლაპარაკება ოსმალეთის და ამერიკის ფირმებს შორის შეწყვეტილია.

ინგლისის პოზიცია.

მოსკოვი 5 იან. ბრიტანეთის ულტიმატუმის რეალურ ძალაზე დაყრდნობის მიზნით სტამბოლში გამოჩნდა ინგლისის ესკადრა. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ახალი დამამტკიცებელი საბუთია იმ გარემოების, რომ ინგლისს სურს დააჩქაროს მისთვის საჭირო სადაო საკითხის გადაწყვეტა პარიზის კონფერენციის შედეგებს გამორკვევამდე.

პარიზის თათბირი

ბონარ ლოუს სიტყვა.

ლონდონი. 5 იანვარი. იუწყებიან პარიზის თათბირის მუშაობის დაწვრილებით ცნობების შესახებ: პუანკარემ დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა ინგლისის გეგმების გამო, მაგრამ აღნიშნა ბრიტანეთის წინადადების სათანადო გულწრფელობა.

დაწვრილებით პასუხის ჩაბარების წინ, ბონარ ლოუმ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ის მზად არის იცნოს ბელგიის პრიორიტეტი და დაუმატა, რომ საფრანგეთმა უარი სთქვა ზოგიერთ ისეთ გარანტიებზე, რომელნიც მიუღებელნი იყვნენ ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრისათვის. შემდეგ ბონარ ლოუმ სთქვა: „მე რომ მწამდეს, რომ საფრანგეთის გეგმა იძლევა ფულებს, რომელნიც მოკავშირეებს სურთ მე მივიღებდი ამ გეგმას დაუყონებლივ, ვინაიდან ყველანი ცდილობენ რაც შეიძლება დაჩქარებით და კარგად გადასწყვიტონ საკითხი". ბონარ ლოუ ფიქრობს, რომ თუ ბრიტანეთის გეგმა არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას, ამავე აზრის საფრანგეთის პროექტიც. ბონარ ლოუს სიტყვებით, პუანკარეს განცხადება იმის შესახებ, რომ თუ მორატორიუმი 4 წლით იქნა დაწესებული, მაშინ ამ ვადის გასვლამდე არაფრის მიღება არ შეიძლება გერმანიისაგან—სიმართლეს არის მოკლებული, ვინაიდან შემდეგ შესაძლებელია მორატორიუმის შემცირება ორი წლით. თუ გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა ამას დაუშვებს. ამის გარდა, თუ გერმანიამ რომელიმე მომენტში უარი სთქვა საკონტროლო კომისიის მიერ დაწესებულ ზომებზე, ინგლისი მზად არის მიმართოს „სანქციის" რეჟიმს. შემდეგ, ბონარ ლოუს აზრით ლაპარაკიც შეუძლებელია გერმანიის განთავისუფლებაზე ვალდებულებისაგან მორატორიუმის დროის განმავლობაში. საკითხი, ვინ უნდა იყოს საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე გერმანელი, თუ ვინმე სხვა, არ აქვს მნიშვნელობა. ინგლისს ამერიკის აუარებელი ვალები მართებს და მას შეეძლო მოეთხოვა [illegible], რის მიცემაც გერმანიას ძალუძს, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებს ღებულობს იმაზე, რაც უნდა გადაუხადოს ამერიკას.

თუმცა პუანკარე გერმანიისგან დიდ თანხების მისაღებად ერთად ერთ გზად სთვლის გერმანიისათვის კრედიტების აღდგენას, მაგრამ, ბონარ ლოუს აზრით, საფრანგეთის გეგმა შეუძლებლად ჰქმნის ამ აღდგენას. საფრანგეთის პროექტში ნაგულისხმევი საფინანსო საკონტროლო კომისია, აღჭურვილი გერმანიის ფინანსების მართველობის და კონტროლის უფლებებით და აგრეთვე ვეტოს უფლებით გერმანიის ფინანსიურ კანონმდებლობაში — ძალიან საშიში საქმეა. გადასახადთა სისტემის ხელმძღვანელობის თავის თავზე აღება ნიშნავს მიიღო აგრეთვე გერმანიის აღდგენისათვის პასუხისმგებლობა, მაგრამ საუკეთესოა უკანასკნელზე ზრუნვა თვითონ მას მივანდოთ. ინგლისში ფიქრობენ, რომ შეუძლებელია გერმანიის კრედიტის აღდგენა, სანამ არ იქნება ნამდვილად განსაზღვრული გერმანიის კონტრიბუციის რაოდენობას.

[illegible]. 5 იანვ. 4 იანვრის სხდომის დასაწყისში იტალიის დელეგატმა დელლა ტორრეტამ გაილაშქრა ინგლისის გეგმის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ეს გეგმა ეწინააღმდეგება იტალიის ინტერესებს და ხაზი გაუსვა, რომ თუ იტალია, რომელიც არაფერს არ იღებს არც ავსტრიისაგან და არც უნგრეთისაგან, არაფერს არ მიიღებს აგრეთვე გერმანიისაგანაც, ის საბოლოოდ მოტყუებული იქნება.

ამის შემდეგ პუანკარემ ბონარ ლოუს მოხსენებას გაუკეთა რამოდენიმე შენიშვნა,

ბრიტანიის დელეგაციამ თათბირს გადასცა ვრცელი ნოტა, რომელიც დელეგაციებმა სხდომის შეწყვეტის დროს განიხილეს.

რადგან ბონარ ლოუმ უსაყვედურა საფრანგეთის მთავრობას, რომ საფრანგეთის მიერ წამოყენებულ გეგმაში არ არის განსაზღვრული გერმანიის ვალების საერთო ჯამი, საფრანგეთის მთავრობამ შენიშნა, რომ გერმანიის ვალების საერთო ჯამის განსაზღვრა საკონტრიბუციო კომისიის კომპეტენციას შეადგენს. საფრანგეთის მთავრობამ მიუთითა მხოლოდ იმაზე, რომ ის მზად არის გერმანიის გადასადების ნაწილი გამოიყენოს სამხედრო ვალების გადასახადისათვის.

— 4 იანვრის სხდომა დამთავრდა პუანკარეს და ბონარ ლოუს განცხადებებით, რომლიდგანაც გამოირკვა ორივე თვალსაზრისის წინააღმდეგობა, მაგრამ გამოიხატა ორივე მხარის ურთი ერთი მეგობრული გრძნობა.

პარიზი. 5 იანვ. ბერლინის ოფიციალური ცნობით გერმანია დაიმედებულია, რომ პარიზის თათბირი გადაუწყვეტს საკონტრიბუციო პრობლემას. იმ შემთხვევაში, თუ უარყოფილი იქნება ინგლისის გეგმა, გერმანია უარს ამბობს თათბირისათვის თავისი წინადადებების წარდგენზე. არ არის რა დარწმუნებული იმაში, რომ ის მიღებული იქნება მხედველობაში.

— 5 იანვრის ფრანგული გაზეთები ვრცლად ეხებიან თათბირის სხდომას და იწონებენ პუანკარეს პოზიციას: „რადგან, ამბობენ გაზეთები, გერმანიისათვის დადგა კრიტიკული პოლიტიკური მომენტი—მივუდგეთ ის აშკარად და უმტკივნეულოდ, როგორც უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც აქვს თავისი თავის იმედი, სიმტკიცე და ძალა.

თათბირის დამთავრება

ლონდონი. 5 იან. პარიზის თათბირი დამთავრდა 4 იანვარს დღის 6 ნახევარ საათზე. აღნიშნულია, რომ შეუძლებელია სხვა და სხვა თვალსაზრისის შეთანხმება.

თათბირის დახურვის წინ ბონარ ლოუმ აღნიშნა ინგლისის მეგობრული, მეგობრობა საფრანგეთისადმი, პუანკარემ ასევე უპასუხა ინგლისის ხალხის მიმართ.

ბრიტანიის დელეგაცია პარიზიდან გაემგზავრება 5 იანვარს.

თათბირი დამთავრებამდე გაიმართა ორი სხდომა.

პირველ სხდომაზე გამოქვეყნდა იტალიის წინადადებები და სხდომა გადაიდო ამ წინადადებების განსახილველად. ბონარ ლოუმ უპასუხა ფრანგების კრიტიკას ინგლისის გეგმის შესახებ. ამ პასუხში ბონარ ლოუმ აღნიშნა, რომ ინგლისის გეგმა სრულიადაც არ არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას, რომელიც ისეა შემუშავებული, რომ შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა, თუ ამას გარემოება მოითხოვს. ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ საფრანგეთის გეგმაც აგრეთვე არ გამომდინარეობს ვერსალის ხელშეკრულებიდგან, რადგან ის წინადადებას იძლევა დაიგდოს გარანტიების კომისიამ ბოლოს თავის ხელში გერმანიის ბიუჯეტი და გულისხმობს გერმანიის გადასახადების გადიდებას. მოკავშირეების ისეთი ჩარევა უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც იძულებითი ზომა, რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

პარიზის კონფერენცია.

პარიზი. 5 იანვარი. ბონარ ლოუ, მისი პარიზიდან წასვლის წინ, ინახულა პუანკარემ. იტალიის და ბელგიის დელეგატებთან მოლაპარაკება გრძელდება. ინგლისის დელეგატები პარიზიდან წავლენ 5 იანვარს შუადღისას, იტალიის ამავე დღის საღამოზე ბელგიის—6 იანვარ დილით.

მანჩესტერი. 4 იანვარი. მას შემდეგ, როდესაც პუანკარემ აცნობა თათბირს, რომ გერმანიის სტატს სეკრეტარმა ბერგმანმა მიმართა მას განცხადებით—თუ მინონ კონფერენციის გახსნამდე, მოსმენილ იქნა საფრანგეთის პროექტი, რის შემდეგ ბონარ-ლოუმ წარმოადგინა ინგლისის და დელლა ტორეტამ იტალიის პროექტი. სხდომა 2 ნახ. საათი. გაგრძელდა, რის შემდეგ საკითხის განხილვა გადადებულ იქნა 4 იანვრის სამ საათამდე იმ მიზნით, რომ ცალკე დელეგაციებს განეხილათ წარდგენილი პროექტები.

— საფრანგეთის წარმომადგენლების მიერ ინგლისის გეგმის განხილვის დროს, პუანკარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისი საკონტრიბუციო კომისიის ნაცვლად რაღაც ახალ კომიტეტის დაარსების წინადადებას იძლევა, და ამ კომიტეტის თავმჯდომარეთ განზრახვა აქვს დანიშნოს გერმანიის ფინანსთა მინისტრი.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ინგლისის პროექტი სასოწარკვეთილებაში აგდებს საფრანგეთს.

გერმანიის ამბები

გერმანიის მუშებს შორის.

მოსკოვი. 5 იანვარი. მოლაპარაკება გერმანიის ლითონის მწარმოებლებთან სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ შეწყვეტილია. მწარმოებლებმა უარი განაცხადეს სამუშაო ხელფასის მომატებაზე. მელითონეთა პროფკავშირი მოუწოდებს ყველა მელითონეებს რათა მწარმოებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის შექმნან ერთიანი ფრონტი.

პარიზი. 5 იანვარი პრუსიის გარეშე საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მემორანდუმი საიმპერიო გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელშიდაც აღნიშნულია ის საფრთხე, რომელსაც უქადიდა გერმანიას ემიგრაცია.

სარეპარაციო საკითხი

მოსკოვი. 5 იანვარი. ინგლისის მიერ შემუშავებულმა სარეპარაციო პროექტმა პარიზში დიდი აურზაური გამოიწვია. საფრანგეთის და ბელგიის მთავრობის წრეებს იმედი გაუცრუვდათ.

პუანკარემ წარადგინა თავისი სარეპარაციო გეგმა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გერმანიას ეძლევა ორი წლის ვადა გადასახადების შესატანად, იმ პირობით თუ დარჩება სარეპარაციო ვალის ძველი რაოდენობა, თუ გერმანიის სახელმწიფო ტყეებზე დაწესებული იქნება მოკავშირეთა კონტროლი და ბაჟები. იმ შემთხვევაში თუ გერმანია უარს იტყვის ასეთ კონტროლზე, მოკავშირეები დაიკავებენ ესსენს და რურის ოლქის ნაწილს.

პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთი არ გადაუხდის ინგლისს თავის ვალებს, სანამ გერმანია არ აუნაზღაურებს მას ხარჯებს განადგურებულ ოლქების აღსადგენად.

— საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ უარყო ინგლისის სარეპარაციო გეგმა. პარიზის კონფერენციის წრეებში გამოსთქვამენ ეჭვს შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაში, ინგლისის და საფრანგეთის სარეპარაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელისმოწერა
გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი. ერთი თვის [illegible] თვეში	
		[illegible]	[illegible]
„კომუნისტი"	ქართული	280.000	100 000
„პრავდა გრუზია" . . .	რუსული	230.000	100 000
„კარმირ ასტხ"	სომხური	230.000	100.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილი იქნება ხელისმომწერთა სიპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ. დაწესებულებანი, ქარხკომები, ადგილკომები დაკლებული ფასებით არ სარგებლობენ. პარტ. დაწესებულებანი, იმ პირობით თუ ხელისმოწერა გაიგზავნება უშუალოდ მთავარ კანტორაში, სარგებლობენ დაკლებული ფასებით.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდე.

1 იანვრიდან გაზეთებში „პრავდა გრუზიი", „კომუნისტი" და „კარმირ ასტღ" განცხადებებზე დაწესებულია შემდეგი ფასი:

ტექსტის შემდეგ 20 ათასი მან. ნონპარელის სტრიქონზე.

ტექსტამდე 40 ათასი მან. ნონპ. სტრ. ან ტექსტის შუა.

მრავალჯერ გასამეორებელ განცხადებისათვის—შეღავათი, საკრედიტო 10 პროცენტით მეტი.

სამგლოვიარო განცხადება 500.000 მან. დღის 1-ლ საათამდე, შემდეგ კი 200 000 მანეთით მეტი.

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის

პირადი შემადგენლობის გამწმენდი და შემმოწმებელი ცენტრალური კომისია ამით აცხადებს, რომ 1923 წლ.

1 იანვრიდან წმენდა დამთავრებულია

აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოსული საბუთები განხილული არ იქნება.

ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიის თავმჯდომარე ბოროზჩენკო.

ქალ. ტფილისის ალმასკომი აცხადებს

კონკურსს

ამხ. **კამოს ძეგლის** პროექტის შესახებ.

პროექტი უნდა იქნეს წარმოდგენილი არა უგვიანეს 20 იანვრისა ალმასკომის პრეზიდიუმში.

პრემია: 1-ლი 30 მილიონი მან. მე-2 25 მილიონი მან. მე-3 20 მილიონი მანეთი.

ალმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

(კრ. 23-3—1) მდივანი **ხუნდაძე.**

პროექტებს შორის სრული წინააღმდეგობის გამო.

— საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის სარეპარაციო პროექტი არღვევს ვერსალის ხელშეკრულების ძირითად პირობებს.

— პუანკარემ განუცხადა ჟურნალისტებს: „თუ მოკავშირეებმა ერთხმად არ აიძულეს გერმანია შეასრულოს სარეპარაციო ვალდებულებანი, მაშინ საფრანგეთის მიერ გერმანიის ზოგიერთ ოლქების ოკუპაცია აუცილებელი იქნება. თუ გერმანია არ შეასრულებს საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილებას, მაშინ უკანასკნელი შეუდგება ესსენის, ბოხუმის და მთელ რურის ოლქის ოკუპაციას, ფოშის მიერ შემუშავებულ პროგრამის თანახმად.

— საფრანგეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს, ბონარ-ლოუმ განაცხადა: „მართალი არ არის, თითქოს ინგლისი არ იყოს დაინტერესებული რეპარაციებით. პირიქით მას ძალიან ესაჭიროება ეს რეპარაციები. ინგლისში ამ ჟამად ლიბერალია დიდი გადასახადები, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეებს და იწვევს უმუშევრობას. თუ მსოფლიო ვაჭრობის პირობები არ გაუმჯობესდა, მაშინ ინგლისი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება".

„ჰუმანიტე" სარეპარაციო საკითხების შესახებ.

მოსკოვი. 5 იანვარი. საფრანგეთის ექსპერტების მიერ შემუშავებულ სარეპარაციო გეგმის შესახებ „ჰუმანიტე" სწერს: „რვა საათის სამუშაო დღის გაუქმება მუქარა, რომელიც დღეს წარმოდგენილია გერმანიის მუშების წინაშე, ხვალ წარმოდგება საფრანგეთის პროლეტარიატის წინაშე. საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა დაჰყავს საფრანგეთის მუშების მატერიალურ მდგომარეობას გერმანიის მუშების მდგომარეობამდე".

მდგომარეობა იტალიაში

კომუნისტების დევნა იტალიაში.

მოსკოვი. 5 იანვარი. იტალიაში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება. რომში და ანკონაში დააპატიმრეს რამდენიმე ათეული კომუნისტები.

წარმოების საბჭო იტალიაში.

მოსკოვი. 5 იანვარი. იტალიის მთავრობამ გააუქმა შრომის უმაღლესი საბჭო და მის მაგიერ დაარსა წარმოების საბჭო, რომელშიდაც შედიან მრეწველთა, ტეხნიკოსთა და პროფკავშირთა წარმომადგენლები. ფაშისტები მოითხოვენ, რათა საბჭოში დაშვებული იქნეს მხოლოდ ეროვნული ფაშისტური პროფკავშირები.

უმუშევრები ინგლისში

მოსკოვი. 5 იან. ლონდონში მისული უმუშევართა რიგები დროებით მოათავსეს ლონდონის განაპირა უბნებში არსებულ მუშათა სახლებში. ერთი ღამის განმავლობაში საავადმყოფოში გარდაიცვალა 4 უმუშევარი. ლონდონში მიდიან უმუშევართა ორი რაზმი შოტლანდიიდან.

— ლონდონში 7 იანვარს გაიზრახულ მუშათა ფართო დემონსტრაციის გამო ტრედუნიონების, მუშათა პარტიის და უმუშევართა ეროვნული საბჭოს მიერ გამოშვებული იქნა მანიფესტი, რომელიც მოითხოვს უმუშევართათვის სამუშაოს მიცემას და პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევას.

— კვირას მომხდარ უმუშევართა ფართო დემონსტრაციის დროს უმუშევართა რაზმი შეიჭრა ვაჭრობა-მზრუნველობის შენობაში და მოითხოვა პური. პოლიციამ ცემით უპასუხა უმუშევრებს. დაჭრილია რამდენიმე უმუშევარი. სახალხო ჯანმრთელობის სამინისტროში მისული უმუშევართა დელეგაცია გამოძევებული იქნა პოლიციის მიერ.

— ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა ინსტრუქცია, რომელიც წინადადებას იძლევა, რათა უმუშევრები ჩაითვალონ მაწანწალებად.

ამერიკის მემაღაროეთა შორის

მოსკოვი, 5 იანვარი. კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო მემაღაროების შრომის პირობების გამოსარკვევად, წარუდგინა ნიუ იორკის ქალაქის თავს მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ მუშები ცხოვრობენ მონებზე უფრო ცუდად, მათი ცოლები და შვილები განიცდიან შიმშილს. მიუხედავათ წარმოებელთა მიერ ნახულ დიდი მოგებისა, მემაღაროები ღებულობენ მეტად მცირე ხელფასს და განიცდიან დიდ გაჭირვებას. არც ერთი ფარაონი არ ეპყრობოდა თავის მონებს ისე, როგორც მწარმოებლები ეპყრობიან მემაღაროებს. ამ უკანასკნელთ იძულებულ ხდიან სურსათ სანოვაგე მწარმოებელთა დუქნებში იყიდონ და ისიც ბაზრის ფასებზე გაცილებით უფრო მაღალ ფასებში.

უცხოეთის პრესა

ბონარ ლოუს პასუხები შეკითხვებით მიმართვაზე.

ლონდონი, როგორც ინგლისის გაზეთები გადმოგვცემენ დეპუტატმა კენკორტიმ თემთა პალატაში შემდეგი შეკითხვით მიმართა მთავრობას: იცის თუ არა ბონარ ლოუმ, რომ საფრანგეთი აპირებს რურის ოლქის ოკუპაციას და რეინში და დანარჩენ ოკუპირებულ ადგილებში საფრანგეთის ადმინისტრაციის დაწესებას. კენკორტი შეეკითხა აგრეთვე—ქონდა თუ არა ამის შესახებ თათბირი საფრანგეთის მთავრობას ინგლისის მთავრობასთან. ბონარ-ლოუმ ორივე კითხვებზე უარყოფითი უპასუხა.

იმავე სხდომაზე პრემიერს მიმართეს მეორე შეკითხვით—ამ ჟამად საბერძნეთში მყოფ ბრიტანეთის სამხედრო მისიის გაწვევის შესახებ. ბონარ ლოუმ უპასუხა, რომ მთავრობა იხილავს ამ ჟამად საკითხს, სასურველია თუ არა მისიის გაწვევა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. ბრიტანეთის საკონსულო დაწესებულებანი საბერძნეთში განაგრძობენ თავიანთი ფუნქციების ასრულებას.

ევროპის კრედიტორები.

ნიუ-იორკი, „ჩიკაგო ტრიბუნ" იუწყება, რომ უილიემსტაუნში გამართულმა ამერიკის ბანკირების კონგრესმა გამოიტანა დადგენილება გარდა ინგლისისა ყველა მოკავშირეთა ვალების გაუქმების შესახებ. ნაციონალურ ბანკის წარმომადგენლის ანდერსონის მიერ წარდგენილი პროექტი ვალების გაუქმებასთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ რეფორმებს: 1) საბიუჯეტო რეფორმას, რომელიც შეამცირებს გადასახადების გადიდებაში; 2) ქაღალდის ვალუტის ოქროზე დაფუძნება; 3) ეკონომიურ ფუძეზე სარეპარაციო საკითხის მოწესრიგება გერმანიის ვალების შემცირების, 3 დან 5 წლამდე მორატორიუმის დაწესების და გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის გზით.

ცეცხლის წაკიდება უნგრეთის რკინის გზებზე.

ბუდაპეშტი. „რეჩ-პოსპოლიტა" იუწყება, რომ ბუდაპეშტში სახელმწიფო რკინის გზების სახელოსნოში გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც გაანადგურა 6 შენობა, 46 ახალი ვაგონი და სხვა მასალა. ზარალი აუარებელია. გამოირკვა, რომ ცეცხლი განზრახ არის წაკიდებული.

კაპიტალის შეტევა პოლონეთში.

კრაკოვი. „რეჩ-პოსპოლიტა" იუწყება, რომ ბელსკში და ბელაიში მუშების გაფიცვა დამთავრდა—გამართა მუშების დიდი მიტინგი, რომელმაც მოიწონა მწარმოებლების მიერ წარდგენილ პირობების მიღება ფაქტიურად მუშებმა, თავიანთი სოციალისტ-წინამძღოლების უვარგისი ტაქტიკის გამო ცოტას მიაღწიეს. მწარმოებლები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად სამუშაო ქირას მოუმატონ მხოლოდ 5 პროც.

ფაშისტების ტერორი.

ბერლინი. „როტე ფანე" იუწყება, რომ ინსბრუკში (ტიროლი) დატუსაღებულია ორი პირი, რომელთაც ბრალდებათ სოციალისტ დოქტორ გრუნერის მოკვლა. ორივე ბოროტმოქმედნი ეკუთვნიან „ობერლანდ"-ის ორგანიზაციას, რომელსაც ავსტრიაში თავისი ტერორისტული განყოფილებები აქვს.

სხვადასხვა ამბები

სამხრეთ სლავიის მემაღაროეთა დევნა.

ბალკანეთის მუშათა წრეები ძლიერ ღელავენ სამხრეთ სლავიის მემაღაროეთა დევნის გამო. გასულ წლის დეკემბერში ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში კაპიტალის მხრივ შეუჩერებელ ექსპლოატაციის ნიადაგზე იფეთქა მემაღაროეთა გაფიცვამ სამხრეთ-სლავიაში.

საბერძნეთში.

მოსკოვი. 5 იანვარი. ამერიკის წარმომადგენელმა ათინაში განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა საბერძნეთის რევოლიუციონურ მთავრობას უყურებს როგორც დროებით ხელისუფლებას. ახალი არჩევნების შემდეგ საბერძნეთის სათავეში მოექცევა კანონიერი მთავრობა.

გაფიცვები მაგაში.

მოსკოვი. 5 იანვარი. მწარმოებლები ცდილობენ შეამცირონ სამუშაო ხელფასი და გაადიდონ სამუშაო დღე. ამ საწინააღმდეგოთ [illegible] მუშების ჯგუფში გამოაცხადეს გაფიცვა.

ფროსარი.

პარიზი. 5 იანვარი. ფროსარმა დასტოვა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნობის თანამდებობა.

ამერიკა და ინგლისის სარეპარაციო გეგმა.

პარიზი. 5 იანვარი. ლონდონში დანიშნულ ამერიკის ელჩს გარვეის თათბირი ჰქონდა პრეზიდენტ ჰარდინგთან.

— „ნიუ-იორკ ჰერალდის" ცნობით შეერთებულ შტატებში ინგლისის გეგმას სთვლიან როგორც ერთად ერთ პრაქტიკულ და შესაძლებელს. ამერიკა მზადაა მიიღოს მონაწილეობა გერმანიისთვის სესხის მიცემაში, რომელშიდაც შეუძლია მონაწილეობის მიღება საფრანგეთსაც, თუ ეს დასაშვები იქნება მისთვის მის მიერ დაჭერილი პოზიციის გამო.

— ლონდონის ხაზინის კანცლერი ბალდუინი, ინგლისის ბანკის დირექტორი მონტეგიუ ნორმანი და ხაზინის ექსპერტები ნიუ-იორკიდან ვაშინგტონში გაემგზავრენ შეერთებულ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ვალების გადახდის შესახებ. მოლაპარაკება დაიწყება მომავალ კვირაში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შრომის ბირჟა.

მოსკოვი. 4 იანვარი. შრომის სახალხო კომისარიატთან შემდგარმა თათბირმა სცნო აუცილებლად შრომის ბირჟის მოღვაწეობის გაძლიერება სამრეწველო რაიონებში. არასამრეწველო რაიონებში, რომლებშიაც უმუშევართა რიცხვი მცირეა, შრომის ბირჟების მაგიერ არსდებიან სარეგისტრაციო ბირჟები ანუ საკორესპონდენტო პუნქტები.

თესვის კამპანია.

მოსკოვი. 4 იანვარი. მიწად მოქმედების კომისიამ შრომის და დაცვის საბჭოს წინადადებით შეადგინა თესვის კამპანიის გეგმა 1923 წლისთვის, გაზაფხულის თესვის კამპანიისთვის გადადებულია 22 ნახ. მილიონი ფუთი თესლი, რომლიდანაც 19 მილ. ფ. სესხის სახით მიეცემათ დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთ.

ელექტროფიკაცია.

მოსკოვი. 4 იან. მიწად-მოქმედების კომისარიატმა შეადგინა 1923 წლისთვის ხარჯთ აღრიცხვა სოფლად ელექტრო-სადგურების ასაგებად და მოსაწყობად ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით გადადებულია 406 0.000 მ.

კომუნალური სესხი.

მოსკოვი. 4 იანვარი. შინაგან საქმეთა კომისიის მიერ წარდგენილია სახ. კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად პროექტი სახელმწიფო ბანკთან კომუნალური სესხის განყოფილების დაარსების შესახებ. განყოფილებიდან გრძელვადიანი სესხი უნდა ეძლეოდეს ალმასკომებს და ქალაქის საბჭოებს თავიანთი წარმოებათა გასაფართოებლად და აღსადგენად.

საექიმო დახმარება რუსეთს.

მოსკოვი. 4 იანვარი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საზღვარგარეთ გაგზავნილმა ექიმმა გრანმა შეიძინა რუსეთისთვის მედიკამენტები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სურსათი. 3 ნახ. მილ. მარკის. საქონელი უკვე მოვიდა ოდესაში.

მოგებიანი სესხი.

მოსკოვი. 4 იანვარი. მოგებიან სესხზე ხელისმოწერა პეტროგრადში მიმდინარეობს დიდი წარმატებით. პირველ დღეში გაყიდულ იქნა 100 ხუთმანეთიანი ობლიგაცია, მეორე დღეს—315, მესამე დღეს—630 ხუთმანეთიანი და 325 მანეთიანი ობლიგაციები.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი 4 იანვარი. პეტროგრადის ქაღალდის ტრესტმა აამუშავა ხე-ტყის დიდი ქარხანა.

წუმწუმის წარმოება.

მოსკოვი. 4 იანვარი. ჩრდილოეთსაოლქო წუმწუმის ტრესტს შეუკვეთეს 100.000 ყუთი წუმწუმა.

საზოგადო სამუშაოები.

მოსკოვი 4 იანვარი. პეტროგრადში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად ზამთრის განმავლობაში გადადებულია 70.000 ფუთი პური და 100 მილ. მანეთი. პირველ რიგში დაიწყება მუშაობა მასალების დასამზადებლად მომავალი ზაფხულის სააღმშენებლო სეზონისათვის. მუშაობას ეწევა 1500 კაცი.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

სევასტოპოლი. 27 დეკ. ყირიმის და მოსაზღვრე პოლიტიკურმა სამმართველოებმა აღმოაჩინეს მთელი რიგი მექრთამეებისა და კონტრაბანდისტებისა. დამნაშავენი გადაცემული არიან სასამართლოზე.

შიმშილობა ყირიმში.

სიმფეროპოლი. 27 დეკ. სიმფეროპოლის რაიონში 64 000 დამშეულია, რომელთაგანაც 47.000 ბავშვია. ნოემბრის განმავლობაში საზოგადო სამუშაოებზე მომუშავეებს დაურიგდათ 6.194 ფ. ქერი

უმუშევრობასთან ბრძოლა.

მოსკოვი 4 იანვარი. უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, მინსკის მეტყავეთა კავშირმა გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც მუშაობენ თითქმის ყველა უმუშევრები.

პრესის მოღვაწეთა შორის

მოსკოვი. 4 იან. ბრიანსკში ადგილობრივი კომერსანტ სურინი, რომელიც ადგილობრივ გაზეთის „ბრიანსკი მიბორი"-ს რედაქტორს იაბლონსკს ბრალს სდებდა ცილისწამებაში. აღძრა საჩივარი სასამართლოში. სასამართლომ იაბლონსკი გაამართლა და სურინი დააჯარიმა უსინდისო ბრალდებისათვის 50 მ. ოქროთი.

— რიაზანში გაიხსნა პრესის მუშაკთა კლუბი.

— ყაზანში 1 იანვარს დიდი ზეიმით გაიხსნა პრესის მუშაკთა კლუბი.

სოც. დაზღვევის ორკვირეული.

მოსკოვი. პეტროგრადში წარმატებით ჩატარებულია სოც. დაზღვევის ორკვირეული. მარტო ქალაქის რაიონში კერძო წარმოებლებისგან შეგროვილია 200 მილიარდზე მეტი დამზღვევი პრემია. აღმოჩენილია 300 კერძო მწარმოებელი, რომელიც არ გატარებულა მუშების დაზღვევისათვის რეგისტრაციაში. ყოველ წარმოებაში ირჩევა მუშა, რომელსაც ევალება დამზღვევი ოპერაციების მეთვალყურეობა. დამზღვევი გადასახადების შემოტანა დეკემბერში ორჯერ მეტია ვიდრე ნოემბერში.

მონაწილეობის მიღება ლენინის ბაზრობაზე

მოსკოვი. 4 იანვ. პეტროგრადის სავაჭრო პალატამ მისცა წინადადება ლენინის ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მთელ რიგ მსხვილ სახელმწიფო ორგანიზაციებს.

წითელი ჯვრის საავადმყოფო

მოსკოვი 4 იანვ. იანვრის ბოლო რიცხვებში პეტროგრადში გაიხსნება წითელი ჯვრის დიდი საავადმყოფო. ღარიბებს დახმარება გაეწევათ უფასოთ.

ონეგინის მუზეუმი

მოსკოვი 4 იანვ. სამეცნიერო აკადემიას ატყობინებენ, რომ პარიზში არსებული ცნობილი ონეგინის მუზეუმი გადმოტანილი იქნება პეტროგრადში. მუზეუმში დაცულია პუშკინის და სხვა რუსის პოეტების ხელთნაწერები. მუზეუმი შეძენილი იყო „პუშკინის სასახლისათვის" ჯერ კიდევ 1908 წელში.

სახლების დემუნიციპალიზაცია.

ტაშკენტი. 3 იან. ტაშკენტის კომუნალური მეურნეობის სამმართველო ხელავს ყველა მასალებს ადგილების და სახლების დემუნიციპალიზაციის შესახებ. მესაკუთრეების განხილვის მიზანია, რათა კომუნალურ განყოფილებების საკუთრებაში დარჩეს ყველაზე უფრო ძვირფასი უძრავი ქონებები.

პურის ოპერაციები ყირიმში.

სიმფეროპოლი. 27 დეკ. სიმფეროპოლის სახელმწ. ბანკის განყოფილების სახელზე მიღებულია რამდენიმე ვაგონი პური. ძველი მარაგიდან ნაწილი გადაიდვა საარტელო პურის საცხობებში იაფი პურის გამოსაცხობად ნაწილი კი შეისყიდა ყირიმის კავშირმა.

ლექციები საბჭოთა უფლებაზე.

სიმფეროპოლი. 27 დეკ. სიმფეროპოლში ეწყობა მთელი რიგი იურიდიული ლექციებისა საბჭოთა კანონმდებლობაზე. ლექტორებათ მოწვეულნი არიან დამცველთა კოლეგიის წევრები.

უპარტიო ქალთა კონფერენცია.

სიმფეროპოლი. 27 დეკემ. დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა სიმფეროპოლში უპარტიო ქალთა მეორე კონფერენცია, კონფერენციაზე დამსწრე დელეგატები დაინტერესებული არიან საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკური და ეკონომიური აღმშენებლობით. დელეგატებმა აღნიშნეს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობით მუშაობაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობა.

ახალი გამოცემანი.

მოსკოვი 5 იანვარი. სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა: — მარქსი და ენგელსი „კომუნისტური მანიფესტი", რიაზანოვის შესავალით და შენიშვნებით, და საბანეევი—„სკრიაბინი".

მოსკოვის ქალაქის ბანკი.

მოსკოვი 2 იანვარს მოსკოვში გაიხსნა მოსკოვის ქალაქის ბანკი. 3 იანვარს ბანკი უკვე აწარმოებდა ყოველგვარ ოპერაციებს. ახლო მომავალში ბანკის განყოფილება გაიხსნება პეტროგრადში და ხარკოვში.

ტრამვაი მოსკოვში.

მოსკოვი. 5 იანვარი. მოსკოვის კომუნალურ მეურნეობამ გადასწყვიტა მომუშავე ტრამვაის ვაგონების რიცხვი გაადიდოს 800-მდე. განზრახულია 200 მოტორნის, 75 მოტორიან და 60 მიბმული ვაგონების შეძენა ტრამვაის ქსელი ომის წინამდ. მდგომარეობაში უნდა იქნას მოყვანილი.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი 5 იანვარი. უმაღლეს ტრიბუნალში დამთავრდა უხტომსკის, ვერხოვსკის და ბელგანკოვის საქმის გარჩევა. ტრიბუნალმა დაამტკიცა, რომ უხტომსკის კავშირი ქონდა გამოსული საზღვარგარეთელ კონტრრევოლიუციონერებთან და ამზადებდა შეთქმულებას როსტოვში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებად ბელენკოვი ეწეოდა საჯაშუშო მუშაობას და უხტომსკის აწვდიდა ცნობებს წითელ-არმიელთა ნაწილების და თეთრების შესახებ. ვერხოვსკი მონაწილეობას იღებდა უხტომსკის ორგანიზაციაში. სამივეს მიუსაჯეს დახვრეტა. ვერხოვსკიზე გავრცელებულია ამნისტია: დახვრეტა შეცვლილია ათი წლის ციხით.

ახალგ. კომუნისტური კავშირის ახალი წელი.

მოსკოვი. 4 იანვარი. ხარკოვში დიდი აღფრთოვანებით იქნა ჩატარებული ახალგ. კომუნ. კავშირის ახალი წლის შეხვედრა. დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა პროლეტარულ ახალგაზრდობის ფართო მასები. საბჭოთა მოედანზე გაიმართა ახალგაზ. კომკავშირის კარნავალი.

ტვირთები გერმანიიდან.

მოსკოვი. 4 იანვარი პეტროგრადის ნავთსადგურში ყინულის მჭრელის დახმარებით შემოვიდნენ ჩვენი გემები: „ბოლშევიკი" და „გოგლანდი", რომლებთაც დიდი ტვირთები მოიტანეს გერმანიიდან

თბილისის საბჭოს არჩევნებისათვის

ალმასკომების გაერთიანების შესახებ

(საუბარი ამხ. ლ. დუმბაძესთან)

ტფილისის ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლადო დუმბაძემ ტფილისის და ტფილისის მაზრის ალმასკომების განზრახულ გაერთიანების გამო გაუზიარა თავისი აზრი ჩვენი გაზეთის თანამშრომელს. მან სთქვა:

„უეჭველია ალმასკომების გაერთიანებას მოჰყვება სასურველი შედეგები, როგორც ქალაქის, ისე მაზრისათვის.

გაერთიანებული ალმასკომის საშუალებით შესაძლებელი იქნება დამყარდეს მჭიდრო კავშირი ქალაქის და სოფლის პროლეტარიატს შორის. უეჭველია, რომ პროლეტარიატს, იქნება იგი ქალაქში თუ სოფელში, აქვს საერთო ინტერესები.

და აი, ასეთი ერთიანი ალმასკომი მიაღწევს არა მარტო მოქმედების კოორდინაციას, პროლეტარიატის ინტერესების დაცვის საქმეში, არამედ გაატარებს ერთიან პოლიტიკას ყველა საკითხებში, როგორც მაგ. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, სახალხო მეურნეობის და სხვ. საქმეში.

გარდა იდეურ მნიშვნელობისა, რომელიც ამ გაერთიანებას ექნება, მას აქვს წმინდა ტეხნიკური მნიშვნელობა, რომელიც გამოიხატება აპარატის შემცირებაში, მთელი მუშაობის ცენტრალიზაციასა და ცოცხალი ძალების ეკონომიაში.

პირადად მე მოველი გაერთიანებისაგან მუშაობის გაუმჯობესებას, როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის მხრივ პროლეტარიატის საკეთილდღეოთ".

ქალაქის ალმასკომის მუშაობა

ჯანმრთელობის დაცვა

(იანვარი ნოემბერი)

ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშაობა სწარმოებდა მეტად მძიმე პირობებში, რადგან ქალაქის მცხოვრებლებით გავსებამ შექმნა ანტი-სანიტარული მდგომარეობა. საცხოვრებელ ბინების სიმცირემ და მცხოვრებთა შეჭიდროებამ გამოიწვია გადამდებ სნეულებათა გავრცელება.

გადამდები სნეულებანი. 1922 წელი სანიტარულ ეპიდემიურ მდგომარეობის მხრივ დასაწყისში მეტად საშიშარი იყო. პარტახტიანი სახადი, რომელიც ზამთარში დაიწყო, შემცირების მაგიერ, გაზაფხულზე უფრო გაძლიერდა და მარტში აღნიშნულია აზიური ხოლერის შემთხვევები. ამ გარემოებამ, თავისთავად ხალხის დიდი შიში გამოიწვია, მაგრამ მთელ რიგ გასატარებელ ზომების მეოხებით ხოლერა მოსპობილ იქნა.

ხოლერის ეპიდემიის მხრივ 22 წელი შედარებით მშვიდობიანათ ჩატარდა. სულ ხოლერის შემთხვევები აღნიშნულია 285—21 წლის 944 შემთხვევის წინააღმდეგ. ხოლერისაგან გარდაიცვალა 220 კაცი.

პარტახტიანი სახადით ავად გახდა 1557 კაცი, გარდაიცვალა 92 კაცი, 5.8 პროც., ყვავილით ავად გახდა 180 კაცი, გარდაიცვალა 23 კაცი.

სულ გადამდები სნეულებით ავადმყოფი იყო 3056 კაცი—21 წლის 4 000 კაცის წინააღმდეგ.

არა გადამდები სნეულებანი, თუ ერთად ჩავთვლით სტაციონარულ და ამბულატორიების ავადმყოფებს, სულ აღნიშნულია 77.355 შემთხვევა, მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს მალიარიას. ათას მცხოვრებზე მოდის ხუთი მალიარიით ავადმყოფი.

სასწრაფო დახმარება გაწეულ არის 884 ჯერ, ამავე დროს საავადმყოფოში გადაყვანილია 597 ავადმყოფი.

ლაბორატორიამ მოახდინა 2340 სხვადასხვა ანალიზი.

სადეზინფექციო კამერა აწარმოებდა არა მარტო საგნების, არამედ იმ ბინების დეზინფექციასაც, რომლიდანაც გაჰყავდათ გადამდებ სნეულებიანი ავადმყოფები. სულ მოხდა 4849 ცალი და 854 ფუთი საგნების დეზინფექცია. ბავშვთა ჯანმრთელობის ქვეგანყოფილებას ჰყავს 20 სანიტარული ექიმი, 11 სარაიონო ექიმი და ყურის, თვალის, ყელის და კანის ავადმყოფობათა 4 სპეციალისტი. სპეციალისტები ბავშვებს იღებენ ქალაქის საავადმყოფოებში.

ბრძოლა ვენერიულ სნეულებებთან სწარმოებს სპეციალურ ბიუროს ხელმძღვანელობით, რომელიც დაარსებულია ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებასთან და შესდგება ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების, სამმართველო განყოფილების. ქალთა განყოფილების, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის და სხვ. წარმომადგენელთაგან

აბანოები. წმინდა კომუნალურ წარმოებას—აბანოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებლების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. რადგან ქალაქის ალმასკომს აბანოები დანგრეული და შეუკეთებელი გადაეცა, საჭირო შეიქნა ენერგიული ზომების მიღება მათი კაპიტალურ შეკეთებისთვის და 22 წლის განმავლობაში ამუშავდა მთელი რიგი აბანოებისა, რომელნიც წინ უმოქმედოთ იყვნენ. აბანოების რაოდენობის ზრდამ დაუყოვნებლივ იქონია გავლენა აბანოებით მოსარგებლეთა რაოდენობაზე. ასე მაგალითად, იანვარში აბანოებით სარგებლობდა 43,930 სული, მარტში 60.124 სული, ოქტომბერში კი 87.842 სული. სულ 11 თვის განმავლობაში აბანოებით ისარგებლა 704.035 სულ. ე. ი. საშუალოდ სული წელიწადში სარგებლობდა 3 ჯერ მაშინ როდესაც 1921 წელს მხოლოდ 2,4 ჯერ.

სანიტარულ-ტეხნიკური აღმშენებლობის განყოფილების მიერ წარმოებულ იქნა მუშაობა საბურთალოს გასაშრობათ, სადაც ჭაობიან ადგილების გამო მცხოვრებლებს სრული გადაშენება მოელოდა მალიარიისაგან.

ამის გარდა განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა არხების მოწესრიგებას, გატანილია ნაგავი 14,215 ურემი, წყალდიდობისაგან დალექილი ქვიშა და სხვა 19 817 ურემი და 77 დამხრჩვალი საქონელი.

მიწის განყოფილების საბეითლო სანიტარულ სექციას დიდი დამსახურება მიუძღვის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ის აწარმოებდა ბრძოლას საქონლის უკანონოთ დაკვლის წინააღმდეგ და რეგულარულად უწევდა კონტროლს გასასყიდათ გამოტანილ ხორცის და მისი პროდუქტების ღირსებას. სულ დათვალიერებულია ხორცის დუქნები 7909 ჯერ, სასადილოები 5588 ჯერ, სახაშოები 1607 ჯერ, გასტრონომიული მაღაზიები 2234 ჯერ და სხვ. აღმოჩენილია საქონლის უკანონოთ დაკვლის 1211 შემთხვევა. ამის გარდა სწარმოებდა გასინჯვა ქალაქში შემოტანილ ღორის ხორცისა.

ქალაქის ალმასკომის მიწად მოქმედების განყოფილება

მიწის განყოფილების 1923 წლის მუშაობის ანგარიში საკმაოდ ვრცლად იყო უკვე გამოქვეყნებული გაზეთში ამიტომ მოყვანილია მხოლოდ მოკლე უმნიშვნელოვანესი ცნობები, მიწის განყოფილების ფუნქციებს შეადგენს: ქალაქის მიწების და ბაღების გამოყენება და მზრუნველობა მათი მოწყობისათვის, გამიჯვნა და საბეითლო დახმარება.

სათიბი ადგილები. ბუნებრივი მინდვრები მოგვეპოვება 8 210 დესიატინა. მოსავალი დამოკიდებულია ამინდზე და საშუალოდ იძლევა 40—70 ფუთს დესიატინიდან. მიმდინარე წელს მოვიდა 40 ათასი ფუთი თივა.

სახნავი მიწები. გვაქვს 800 დესიატინა. აქედან უმეტესი ნაწილი ეძლევა დასამუშავებლად ადგილობრივ მცხოვრებთ. თვით განყოფილებამ დაამუშავა 35 დესიატინა, რამაც მოგვცა 450 ფუთი ქერი და 700 ფუთი ბზე. მომავალი წლისათვის დახნულია 60 დესიატინა.

საძოვარი გვაქვს 2,200 დესიატინა, რომელიც ეთლად გადაცემული აქვს ადგილობრივ მეჯოგეებს.

რძის ფერმას, რომელიც დიდი ხანია რაც დაარსდა, ჰყავს 46 თავი ადგილობრივი ხევსურეთის ჯიშის საქონელი. ფერმას ცოტა ხარჯი უნდება და დიდ შემოსავალს იძლევა.

მებაღეობა. სექციის განკარგულებაშია 27 ქალაქის ბაღი და სკვერი და 3 სანერგებით გაშენებული ადგილები.

საბეითლო სანიტარული სექცია თავისი ფუნქციების შესრულებისათვის ქალაქის ფარგლებში აქვს სანიტარული ზედამხედველობის ქსელი და ჰყავს 21 თანამშრომელი. სექცია ბრძოლას აწარმოებს საქონლის უნებართვოთ დაკვლის და საქონლის დაავადმყოფების წინააღმდეგ, რისთვისაც სარაიონო ექიმები პირველ დახმარებას აწვდიან დაავადმყოფებულ საქონელს.

განყოფილების ხარჯები და შემოსავალი სულ დაიხარჯა 7 700 მილ. მანეთი. შემოსავალი კი გამოიხატება 8.220 მილ. მანეთში, რომელიც ქალაქის ალმასკომის კასაში შემოვიდა ფულათ, და 3,160 მილ. მანეთის შემოტანილია ნატურიდან საქონლით, ფრინველი, თივა 35 ათასი ფუთი, ხორბალი 1 000 ფუთი, ქერი 1,500 ფ., ბზე 4,000 ფუთი და სიმინდი 300 ფუთი.

ტფ. სამაზრო ალმასკომი

ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობა

სასოფლო მკურნალობა—არის მკურნალობა, რომელიც ეგუება ისეთ აუტანელ პირობებს, რასაც ქართული სოფელი წარმოადგენს ისეთი შენობების უქონლობა, რომელიც ცოტათი მაინც აკმაყოფილებდეს საავადმყოფოს ტეხნიკის მოთხოვნილებებს წყალსადენის, კანალიზაციის და სხვა უქონლობა—ყველა ეს ხელს უშლის დაყენებულ იქნეს სოფლის მკურნალობა სათანადო სიმაღლეზე. პუნქტების დაქსაქსულობა და სამაზრო ცენტრისაგან სიშორე ტრანსპორტის უქონლობის დროს აფერხებს მუშაობას მაზრაში მკურნალობის საქმის გასაუმჯობესებლად.

ყველა ამ მძიმე პირობებს თან ერთვის ჯანმრთელობის განყოფილების მწვავე მატერიალური მდგომარეობა განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების შემდეგ ჯანმრთელობის განყოფილების დაარსების პირველსავე დღიდანვე მოსამსახურე პერსონალის რიცხვი უდრიდა 17 კაცს. მაგრამ რესურსების უქონლობის გამო სწარმოებდა შტატების თანდათანობითი შემცირება და ამ ჟამად განყოფილებაში მუშაობს სულ 3 კაცი. ასეთივე შემცირება გავრცელდა მაზრაზედაც სადაც დარჩა მხოლოდ 42 კაცი აი ყველა შემაფერხებელი პირობები, რომელშიაც განყოფილებას უხდება მუშაობა.

შემუშავებული იყო მომავალი მოქმედების ფართო პროგრამა, მაგრამ მისი განხორციელება არ მოხერხდა და განყოფილება შეეცადა შეენარჩუნებია ის რაც არსებობდა და დაეცვა სამაზრო ორგანიზაციის მთლიანობა.

მთავრობის დეკრეტის თანახმად, საჭირო შეიქნა კერძო პრაქტიკის დაკანონება, ამასთანავე მკურნალობის გადასახადისაგან განთავისუფლებული იყვენ ყველა საბჭოთა მოსამსახურენი და სოფლის ღარიბ მცხოვრებნი, რომელნიც შეადგენენ მთელი მაზრის მცხოვრებთა 5 პროც. ს. მაგრამ, რათა გონორარი მოეწესრიგებია. ჯანმრთელობის განყოფილებამ დააწესა გონორარის ნიხრი.

განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული შკოლების სანიტარულ მდგომარეობას; ამ მიზნით ჯანმრთელობის განყოფილებამ დაავალა სოფლის ექიმებს თვეში ერთხელ გასინჯათ მოსწავლეები. მცხოვრებთათვის დახმარების გასაწევად განყოფილებამ საჭიროდ ჩასთვალა მიევლინებიათ რაიონის ექიმები რიგრიგობით კლინიკებში.

უკანასკნელ ხანებში რამდენიმე ექიმი უკვე მუშაობს კლინიკაში.

1922 წ. 1 იანვრამდე მაზრაში იყო სულ 10 საექიმო პუნქტი, ერთი საავადმყოფო მანგლისის რაიონში 10 საწოლით, 6 საფერშლო პუნქტი. 1922 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის განყოფილებამ მოახერხა კიდევ 2 საექიმო პუნქტის გახსნა, ერთი გომბორის, მეორე ედიკილისის რაიონში. ამასთანავე ეს პუნქტები გაიხსნა საფერშლო პუნქტების ხარჯზე. საერთოთ ჯანმრთელობის განყოფილებამ მიზნათ დაისახა გააუქმოს ყველა საფერშლო პუნქტები, რომელთ რიცხვი ამ ჟამად მაზრაში უდრის—4 წლის განმავლობაში განყოფილებამ მოახერხა დამატებით მიეწოდებია ინსტრუმენტები და საექიმო ხელსაწყო გომბორის, კოჯრის, სართიჭალის, მარტყოფის, პარმაქსიზის, მანგლისის და ედიკამინის საექიმო პუნქტებისათვის.

საფერშლო პუნქტებს დაეგზავნა საექიმო ხალათების საჭირო რაოდენობა. შევსებულ იქნა საცვლებით მანგლისის საავადმყოფო და საგარეჯოს პუნქტი. შენობები პუნქტებში ადგილების დაგვარად შეკეთებულ იქნა: საგარეჯოს, ჭეშელის და ედიკამინის პუნქტებში. ჯანმრთელობის განყოფილებას წასული წლის განმავლობაში უხდებოდა ბრძოლა ხოლერასთან და ძალიან გავრცელებულ მალარიასთან

მთელი წლის განმავლობაში პუნქტებში მიღებული იყო 20.968 ავადმყოფი, აქედან გადამდები სნეულებით 2347, [illegible] 389, პარტახტიანი ტიფით—302, დიზენტერიით—265, შებრუნებითი ტიფით—217, მუცლის სახადით—182, წითელი ქარით—72 და ყვავილით—22, სახლებში გასინჯული იყო 7189 ავადმყოფი.

ამგვარად ეხლანდელმა საბჭომ გააკეთა ის, რაც შესაძლებელი იყო, რათა მოეწესრიგებია გლეხთა მცხოვრებთათვის საექიმო დახმარება და განსაკუთრებით შეემსუბუქებია ღარიბ გლეხების მდგომარეობა.

საბჭოების მფარველობის ქვეშ

ბერლინი. „როტე ფანეს" გადმოცემით რაკოვსკიმ მიიღო სირიის, პალესტინის და მესოპოტამიის დელეგატები, რომელთაც განუცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი არასოდეს არ დაუშვებს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მანდატების სახით აწარმოონ ანექსიის პოლიტიკა. ამის შემდეგ სამივე დელეგაციების წარმომადგენლებმა ტელეგრაფით გადასცეს ამერიკის პრეზიდენტს გარდინგს და სენატს სასტიკი პროტესტი საფრანგეთის მოქმედების წინააღმდეგ და კლემანსოს აგიტაციურ გამოსვლების გამო, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს ამერიკის მოსახლეობის ფართო წრეები საფრანგეთის სამართიანობაში, მაშინ როდესაც ლოზანის უკანასკნელმა დღეებმა დაამტკიცა მთელ ქვეყანას სწორედ წინააღმდეგ.

უცხოეთის ცხოვრება

სამხრეთ-აფრიკაში:

ინგლისის თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატმა ლანსბერიმ მიმართა მთავრობას შეკითხვით, იცის თუ არა მან, რომ **სამხრეთ აფრიკაში მოელიან გაფიცულ მემაღაროეთა სიკვდილით დასჯას** და აქვს თუ არა მთავრობას განზრახვა პროტესტი განაცხადოს ამის გამო გენ. სმეტსის მთავრობის წინაშე. სპიკერმა გააწყვეტინა ორატორს და განაცხადა, რომ აფრიკის კოლონიები არიან დამოუკიდებელი დომინიონები, რომელთა მოქმედებისათვის ინგლისის მთავრობა არ არის პასუხისმგებელი და რომელთა მოქმედებაში მას ჩარევა არ შეუძლია. მაშინ მუშათა პარტიის დეპუტატმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საბერძნეთიც ხომ დამოუკიდებელი ქვეყანაა და მიუხედავად ამისა ინგლისის მთავრობამ პროტესტი განაცხადა საბერძნეთის მინისტრების დახვრეტის წინააღმდეგ. მთავრობის მხრივ პასუხი არ ყოფილა, და მუშათა პარტიის დეპუტატის პროტესტს გამოძახილი არ მოჰყოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ფასები ნავთზე.

ბაქო, 5 იანვარი. 3 იანვარს აზნავთის მიერ დაწესებულია აზერბეიჯანის ფარგალში შემდეგი ფასები ნავთზე და მის პროდუქტებზე უაქციზოდ და უბაჟოდ აზერბეიჯანის ბონებით. მძიმე ნავთი—8 მილ. მან. ფუთი, მაზუთი—8 მილ., მოტორის მსუბუქი ნავთი 9 მილ., კეროსინი—12 მილ., მანქანის ზეთი—27 მილ., ცილინდრის ზეთი—41 მილ., ბენზინი 1 ხარისხ.—4 მ. 50 კ. ოქრ., მეორე ხარისხის—2 მ. 30 კ. ოქროთი, მესამე ხარისხის—1 მ. 50 კ. ოქრ. ვაზოლინი—1 მ.—შეიძლება ფასების ბონებზე გადაყვანა კურსის მიხედვით.

უთავშესაფარო ბავშვები. ბაქოს საბჭოს განათლების სექციამ თავის პირველ სხდომაზე განიხილა უთავშესაფარო ბავშვების მოწყობის საკითხი. ქუჩის ბავშვთა რიცხვი უდრის 2.000; ბრძოლა უთავშესაფრობასთან გამოცხადებულია სასწრაფოდ და დამკვრელად. მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ბავშვთა ახალი სახლების გახსნით. საკავშირო საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა საჭირო თანხების გაცემის შესახებ. საჭირო საშუალებები აგრეთვე შეგროვებულ უნდა იქნას სამეურნეო ორგანოებში და პროფკავშირებში.

სომხეთი

ერევანი, 4 იანვარი. სახალხო კომისართა საბჭოში. სახალხო კომისართა საბჭომ 27 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: დაამტკიცონ ახალი ტარიფი პასუხის მგებელ მუშაკთათვის დეკემბრისათვისათვის, მიიღონ და გამოაქვეყნონ საკავშირო საბჭოს გადაწყვეტილება მუშების საქმიმო დათვალიერების შესახებ; მიღებულ იქნეს დეკრეტის პროექტი სომხეთის წითელი ჯარის სასარგებლოდ საგანგებო გადასახადის შესახებ; ნება მიეცეს კვალიფიციურ თანამშრომლებს შეასრულონ მუშაობა რამოდენიმე დაწესებულებებში ისე, რომ ჯამაგირი სხვა დაწესებულებებში შრომისათვის არ აღემატებოდეს ძირითად ჯამაგირის 50 პროცენტს.

წმენდა. სომხეთის პროფკავშირთა საბჭომ დაარსა საბჭოთა მოსამსახურეების გამწმენდი კომისია. წმენდის მიზანს შეადგენს საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან იმ პირების გაწმენდა, რომლებიც მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან, რომლებიც არ წარმოადგენენ მშრომელ ელემენტებს—აქვთ სხვა სახის შემოსავალი, იყვნენ მეფის და დაშნაკების მთავრობების მომხრენი, უმთავრესად პოლიციელები, ბანდიტები და სხვ., რომლებიც არ ემორჩილებიან სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს დისციპლინას.

ცენტრალურმა გამწმენდმა კომისიამ მოაწყო მუშაობა აგრეთვე მაზრებში, წმენდა დაიწყო 1 იანვარს, დამთავრდება 10 იანვარს.

საბჭოთა მუშაკების კავშირში. საბჭოთა მუშაკების კავშირთან მოეწყო ურთიერთ დახმარების კასა. კასის შემოსავალი შესდგება საწევრო გადასახადისაგან. კასა უკვე შეუდგა მატერიალური დახმარების მიწოდებას წევრებისადმი. კავშირთან სწარმოებს მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფში. სულ მეცადინეობს 100 კაცი. ამას გარდა მოიპოება კურსები მცირე წერა-კითხვის მცოდნეთათვის.

საქართველო.

ბათომი

ოსმალეთის ელჩი. ბათომში მოელიან ოსმალეთის ელჩის მუხტარ ფაშას, რომელიც მიემგზავრება სპარსეთში.

იტალიის ელჩი. ბათომში კვლავ არსდება იტალიის საელჩო.

კვირეული. პარტიული კომიტეტის მიერ მოწყობილი კვირეული ორთაბათომის გზის შესაკეთებლად მშვენივრად ჩატარდა. კვირეულში მონაწილეობა მიიღო 240 კაცმა. შეკეთებულია გზა 3 ვერსტის სიგრძეზე. ამ ნაწილის გლეხებზე კვირეულმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა.

გაერთიანება. ცაკის დადგენილების თანახმად 1 იანვრიდან უქმდება სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელიც უერთდება კომუნალურ მეურნეობას. სახალხო მეურნეობის საბჭო სასწრაფოთ იმუშავებს პროექტს შეერთების შესახებ.

სასოფლო სამეურნეო აღწერა. სტატისტიკურ ბიუროს განზრახვა აქვს მოახდინოს მთელ აჭარისტანში გაზაფხულის დასაწყისში სასოფლო სამეურნეო აღწერა, რის მიზნითაც ბიურო აწყობს მაზრაში სტატისტიკურ იაჩეიკებს.

აჭარა

სასოფლო ამხანაგობა. ქობულეთის მაზრის სოფ. დაგვაში სასოფლო მეურნეობის არტელის „სუბტროპარტის“ წევრების მონაწილეობით მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა რძის ნაწარმოების ხილების და ჩაის გასასაღებლად. ამხანაგობის სათავეში სდგას გლეხი წ. წ-ნიძე. ორგანიზაციაში შევიდნენ სოფლის თითქმის ყველა გლეხები. ამ საზოგადოების წესდება უკვე წარდგენილია აჭარის მიწად-მოქმედების კომისარიატში დასამტკიცებლად. მეზობელ სოფლის „აჭქუა“-ს გლეხებმა წაბაძეს ამ მაგალითს და განზრახვა აქვთ მოაწყონ ასეთივე შრომის ამხანაგობა.

ახალციხე

ელექტროფიკაცია. ახალციხის აღმასკომმა გადასდო 10.000 ფუთი ხორბალი მაზრის საელექტროფიკაციოთ. ჯერ-ჯერობით დაწყებულია ელექტრონის განათების გაყვანა ქალაქში. მაგრამ ვინაიდან აღმასკომის მიერ გადადებული თანხა არ აღმოჩნდა საკმაო, ამისათვის მოხდა ადგილობრივი ორგანიზაციების და ვაჭრების გაერთიანებული თათბირი რაიმე ღონისძიების აღმოსაჩენად. ვაჭრების წარმომადგენლებმა დაადგინეს თვით დაბეგვრის საშუალებით შეკრიბონ საჭირო თანხა. ამავე თათბირზე დაისვა აგრეთვე საკითხი ახალციხე თბილისს შორის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

ბაზარზე. დეკემბერში მომხდარ ფასების აწევამ ახალციხის ბაზარზე, დროზე მიღებულ სათანადო ზომების გამო, სათანადო გავლენა ვერ მოახდინა. მაგალ. შაქარის ფასს არ აუწევია 8000 მანეთზე ზევით. თეთრი პური—15 000 მან. კარტოფილი ფუთი—90 000 მან. და სხ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიის ცნობების მიხედვით)

გორის მაზრა. მაზრაში პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა 713 კაცით ან მთელი შემადგენლობის 44,2 პროც.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხულთა (გაწმენდის ინსტრუქციის მე-X მუხლის თანახმად) 41 კაცი; გამორიცხულია 667 და დროებით გამორიცხულია—5 კაცი. ამრიგად მექანიკურად გამორიცხულთა რიცხვი პროცენტულად უდრის—5,7 პროც. გამორიცხულთა—93,6 პროც. და დროებით გამორიცხულთა—0,7 პრ.

პარტიიდან გამორიცხულთა განაწილება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით ასეთია:

	გამორიცხულია	დროებითი გამ.	მექანიკ. გამ.	სულ
მუშები	30	2	5	37
ხელოსნები	41	1	6	48
გლეხები	570	1	28	599
მოსამ. და სხვ.	26	1	2	29
სულ	667	5	41	713

პარტიულ რიგების შემცირება თვითეულ სოციალურ ჯგუფში პროცენტულად ასეთია: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა დაჰკარგეს—30,8 პროც. ხელოსნებმა—35,8 პრ., გლეხებმა—46,8 პროც.; მოსამსახურეებმა და სხვ 37,4 პროც. ყველაზე მეტი პროცენტი დაჰკარგეს გლეხებმა, შემდეგ მოსამსახურეებმა, და ინტელიგენტურმა და ნახევრად ინტელიგენტურმა ელემენტებმა, შემდეგ ხელოსნებმა და ბოლოს მუშებმა.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. ყოფილი პოლიციელობისა და თეთრებთან სამსახურის გამო—26 კაცი; არა კომუნისტური, მერყევი და საეჭვო ელემენტი—49 კაცი; მექრთამეობისათვის—5 კ.; ბანდიტიზმსა, ქურდობისა და ბოროტმოქმედებისათვის—21 კ.; სამხედრო ბეგრის თავიდან აშორება და პარტიული დეზერტირობა—95 კაცი. კარიერიზმი და პირადი სარგებლიანობის მიზნით პარტიაში შემოპარვისათვის—12 კ.; ლოთობა და უწესო ყოფაქცევისათვის—26 კაცი, მორწმუნეობისათვის—24 კაცი; ნაციონალიზმი და შოვინიზმისათვის—1; თანამდებობის ბოროტად გამოყენება და თვითმომარაგება—6 კაცი.; პარტიაში კონტრ-რევოლუციონური მიზნით შემოსვლის გამო—5 კაცი; სპეკულიაცია და ვაჭრობისათვის—21 კაცი; ინტრიგანობისათვის—2 კაცი; სხვისი შრომის ექსპლოატაციისა და კულაკობისათვის—40; პარტიული დავალებათა შეუსრულებლობა და პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის—132 კ.; პასიური წევრობა (ზედმეტი ბალასტი)—192 კ; სხვა პარტიებიდან შემოპარულები—11 კ.; ბიუროკრატიზმი და სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის—4 კაცი; სულ 672 კ. მექანიკურად გამორიცხულია—41 კაცი.

ცენტრ. შემმოწმებელი კომისია.

—

ახალქალაქის მაზრა. პარტიული ორგანიზაცია მაზრაში გაწმენდის შემდეგ შემცირდა 9 კაცით, ანუ ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 22,5 პროც.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ამ გვარია: მექანიკურად გამორიცხულია (ს. კ. პ. გაწმენდის ინსტრუქციის § 10 თანახმად) 7 კაცი, გამორიცხულია—1, დროებით გამორიცხულია—1.

ამ რიგად მექანიკურად გამორიცხულები შეადგენენ 88,8 პროც. გამორიცხულები—11,1 პროც. და დროებით გამორიცხულები—11,1 პრო.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით პარტიიდან გამორიცხულთა დაყოფა ასეთია:

	გამორიცხულია	დროებ. გამორ.	მექანიკ. გამ.	სულ
მუშები	—	—	—	—
ხელოსნები	—	—	2	2
გლეხები	—	1	—	1
მოსამ. და სხვ.	1	—	5	6
სულ	1	1	7	9

ცალკე თვითეულ სოციალურ ჯგუფში პარტიულ რიგების შემცირება გამოიხატება შემდეგ პროცენტებში: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა—0, ხელოსნებმა—40,0 პროც. გლეხებმა—10,0 პროც. და მოსამსახურეებმა—28,6 პროც. მეტი პროცენტი დაჰკარგეს ხელოსნებმა, შემდეგ საბჭოთა მოსამსახურეებმა და ინტელიგენტურმა ელემენტებმა, შემდეგ კი გლეხებმა. პარტიის გარეშე დატოვებული მუშები არ არის.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით: პარტიული ფულების გაფლანგვისა და პარტიულ დეზერტირობისათვის—1, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და თვით მომარაგებისათვის (რეაბილიტაციამდე)—1. სულ—2, მექანიკურად გამორ. ც.—7.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

ავჭალა.

კვირას 31 დეკემბერს 1922 წ. შესდგა ავჭალის რაიონის კომუნისტურ პარტიის წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

კრებას დაესწრნენ აგრეთვე ავჭალის ორგანიზაციის ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
2. მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ.
3. ავჭალის რაიკომის ანგარიში.
4. არჩევნები ტფილისის სამაზრო პარტკონფერენციაზე.
5. რაიკომის არჩევნები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადო სუხიშვილი; ის უთითებს საერთაშორისო მდგომარეობის მთავარ მომენტებზე ევროპაში და საბჭოთა ქვეყნებში; უმთავრესად ამხ. მომხსენებელი ეხება ფაშიზმის ბრძოლას პროლეტარიატისა და საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ლადო სუხიშვილისა საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჩვენ ავჭალის რაიონის კომპარტიის წევრებს და კანდიდატებს გვრწამს, რომ ახალი ფორმა ფაშისტურ მოძრაობისა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ყვითელ ინტერნაციონალისტების დახმარებით, თავის ხულიგანურ კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებით იტალიაში, პოლონეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში შეაერთებს საერთაშორისო პროლეტარიატის ძალებს ერთ დროშის ქვეშ წითელ პროფინტერნის ერთად და პროლეტარიატი გამოვა გამარჯვებული ფაშიზმსა და ყვითელ ინტერნაციონალთან ბრძოლაში.

გაუმარჯოს პროლეტარიატის მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს კომპარტიას და საერთაშორისო რევოლუციის შტაბს მე III მე კომინტერნს!

შემდეგ ამხ. ლადო სუხიშვილი აკეთებს მოხსენებას 2 ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე.

ამხ. მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ყრილობის გახსნას. მის გამოტანილ დადგენილებებს და საერთოდ ყრილობის მთელ მუშაობას, მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ლადო სუხიშვილისა ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობაზე, ჩვენ ავჭალის რაიონის ს. კ. პ. წევრები და კანდიდატები ვესალმებით ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის გაერთიანებას და ვაცხადებთ, რომ მარტო საერთაშორისო მშრომელ მასსების გაერთიანებით ერთიან პროლეტარულ ოჯახში აღადგენს ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას, გაამაგრებს ჩვენს სამხედრო, პოლიტიკურ—და სხვა ფრონტებს საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ. ჩვენის მხრივ, ჩვენი ძალებით ვეცდებით სასწრაფოდ გავატაროთ ცხოვრებაში ყველა ყრილობის დადგენილებანი.

ძირს პროლეტარიატის ყველა მტრები—გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასსის კავშირს საბჭოთა რუსეთთან!

გაუმარჯოს საბჭოების ფედერაციას მთელ ქვეყანაზე.

შემდეგ რაიკომის მდივანი ამხ. სარქისოვი აკეთებს, მოხსენებას რაიკომი მუშაობაზე უკანასკნელ ოთხ თვეებში.

ანგარიშის შესახებ საერთო კრებამ გამოიტანა შემდეგი, რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება-ანგარიში ამხ. სარქისოვისა ავჭალის რაიკომის მუშაობაზე 4 თვის განმავლობაში საერთო კრებამ რაიკომის მუშაობამ სცნო დამაკმაყოფილებლად, და ავალებს ახალ არჩეულ რაიკომს. რაიონში დაწყებული მუშაობა, როგორიც მაგალითად: აშენება მუშათა რაიონულ თეატრ-კლუბისა, პოლიტ წრეების და სხვა საჩქაროდ გაატაროს ცხოვრებაში.

შემდეგ კრება შეუდგა რაიონულ კომიტეტის არჩევას არჩეული არიან: ნ. სარქისოვი, ი. გაგლოევი, ო. ტეგიაზაროვი ვ. ბოცაძე, ნ. ჯაბიაშვილი, მ. მარნარაშვილი და ვ. სუხიშვილი.

კანდიდატებათ: ს. ბერაია და კ. კვერნაძე რის შემდეგაც მოხდა არჩევნები ტფილისის სამაზრო პარტ კონფერენციის დელეგატებისა.

არჩეულნი არიან: ამხ. ნ. სარქისოვი, ა. ჯაფარიძე, პ. შიშინაშვილი მ. გაგლოევი და ვ. სუხიშვილი

საერთო კრების გათავების შემდეგ ამხ. ლადო სუხიშვილმა მისცა „ნაკაზი“ რაიკომის ახალ ამორჩეულ შემადგენლობას.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

2 იანვარს 1923 წ. მოხდა ახალი არჩევნები ავჭალის რაიკომის ბიუროსი: არჩეული იქმნენ შემდეგნი: ნ. სარქისოვი, ი. გაგლოევი, ნ. ჯავახიშვილი, რაიკომის მდივნათ იქმნა არჩეული ერთხმათ ამხ. ნ. სარქისოვი.

მშრომელი ნიკოლი.

ბორჩალოს მაზრა.

1922 წლის 22 დეკემბერს შესდგა ლიუკსემბურგის კომიჩეიკის კრება, რომელსაც დაესწრო პარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრები. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქუქნავამ, რომელმაც მოკლეთ, მაგრამ სავსებით ამოსწურა მასალით მდიდარი საკითხი მოხსენებამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებში. საკავშირო საბჭოს შექმნის საკითხით აღფრთოვანებულ მსმენელების ყურადღება მიიპყრო საამშენებლო საკითხებმა, გამოიწვია მათში დიდი ინტერესი და კმაყოფილება. მრავალ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ის ესალმება რა ყრილობის ყველა დადგენილებებს და ახალ ა. კ. ც. ა. კომიტეტს უსურვებს მომავალში ნაყოფიერ მუშაობას მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვისა და საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურათ აღორძინების საქმეში, თავის მხრივ იაჩეიკა მზად არის არ დაიშუროს უკანასკნელი ენერგია მის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

დასასრულ იაჩეიკამ დაადგინა, სასწრაფოთ მობილიზაციის წესით დაიგზავნოს ამხანაგები მაზრის ყველა კუთხეებში ყრილობის მუშაობის ფართო მუშურ-გლეხური მასსების გასაცნობათ,

სამაზრო კომიტეტის მიერ გამოყოფილ იქნა 17 ამხანაგი მთელ მაზრაში ხსენებულ კამპანიის ჩასატარებლათ.

შაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე თემის აღმასკომის დარბაზში მოწვეულ იქნა მოსამსახურეთა და მცხოვრებთა საზოგადო კრება, რომელზედაც იმავე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ქავთარაძემ. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო.

მომხსენებელი შეეხო ყრილობის ყველა საკითხებს, დადგენილებებს და გასაგებათ გააშუქა მისი მუშაობა. მოხსენებამ გამოიწვია შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, ლიუკსემბურგის მცხოვრებლებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ა. ქავთარაძისა, ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობის მუშაობის შესახებ, ვესალმებით მის დადგენილებებს და ერთ სულოვნათ ვეცდებით მათ ცხოვრებაში უნაკლოთ განხორციელებას.

გ. ძაგანია.

მუშათა ცხოვრება

„კარლ მარქსის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა.

აღნიშნულ ქარხანაში მუშათა რიცხვი აღწევს 84 კაცს, რომელთა შორის 33 ქალია.

ჯამაგირს მუშები ღებულობენ საშუალოდ 4 მილიონს კოლექტიური ხელშეკრულებით. ძირითად ჯამაგირს გარდა მუშაობის ნაყოფიერების ასაწევად, არსებობს პრემიალური სისტემა, რის გამო მუშები სულ აკეთებენ თვეში 6 მილიონამდე.

ფული რიგდება თვეში ორჯერ დაუგვიანებლად, ხანდახან წინდაწინაც.

ახალ წლიდან განზრახულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადება, რაც დაადგენს უფრო მიზანშეწონილ და დროთა შეფარდებულ ხელფასის ნორმას.

მუშებს მუშაობის დროის ჩასაცმელად ეძლევათ ხალათები და სპეცებს კი—„სპეც ტანისამოსი“.

შრომის დაცვის დარგში ადგილი აქვს რამდენიმე არა ნორმალურ მოვლენას.

მაგალითად, ერთ განყოფილებაში იატაკი ქვის არის. მუშებს სისტემატიურად დღეში რვა საათი უხდებათ ასეთ ცივ იატაკზე მუშაობა, რაც ბოლოს და ბოლოს გამოიწვევს მათ დასნეულებას უთუოდ უნდა დაიგოს ფიცრის იატაკი.

სამუშაო ოთახში არ არის აგრეთვე ვენტილიაცია, რის გამო ჰაერი გაჟღენთილია თამბაქოს მავნე მტვერით—იმდენათ, რომ უცხო კაცს გაუჭირდება სუნთქვა. ასეთი ჰაერი მალე უჩენს მუშებს ფილტვების ავათმყოფობას.

მუშებს არა აქვთ დასასვენებელი ოთახი, სადილის ჭამა უხდებათ იქვე, სადაც მუშაობენ. მაგრამ ეს დეფექტი მალე მოისპობა ახალი სასადილოს გახსნით, რომლის შეკეთება სწარმოებს და მალე დამთავრდება.

საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, იმედია, აღნიშნული—დეფექტების ლიკვიდაცია არ გაუჭირდება, ვინაიდან ქარხანა ფრიად მომგებიანია. არ გაუჭირდება საბჭოს არც ის, რომ ჯამაგირის ანგარიშში, მუშებს მიეცეს შეშის საყიდლად ავანსი, რასაც მუშები დიდი ხანია მოითხოვენ უშედეგოდ.

კულტურული მუშაობა რიგიანია. წერა კითხვის უცოდინარობას უკვე მოეღო ბოლო, ახლა არსებობს პირველი საფეხურის სკოლა, სადაც 17 კაცი აგრძელებს სწავლას.

იწყობა საბავშვო ბაღი და ძუძუმწოვარ ბავშვების თავშესაფარი „კერა“, სადაც მუშა-ქალებს საშუალება იქნებათ მუშაობის დროს თავისი ბავშვები იყოლიონ იქვე ძუძუს საწოვრად და მოსავლელად.

სამკითხველო არ არის, მხოლოდ კოლექტიური ხელის მოწერით 50 კაცს მოსდით გაზეთი საკუთრად.

მეთუთუნე.

—

შრომის დაცვაც ასეთი უნდა?!

სტამბაში № 3, რომელიც მდებარეობს ბარონის ქუჩაზე, დაბანდებულია 114 მუშა ხელი, რომელთა შორის 4 ქალია და 4 მოსამსახურე.

ჯამაგირის და საზოგადოთ მატერიალურ უზრუნველყოფის მხრივ მუშები იმავე მდგომარეობაში არის, როგორც სხვა სტამბის მუშები. მხოლოდ რაც შეეხება მუშაობის პირობებს, აქ აღსანიშნავია რამოდენიმე ძლიერ მნიშვნელოვანი დეფექტები, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო ლიკვიდაციას.

სამუშაო ოთახს არა აქვს ვენტილიაცია, რის გამო ოთახში, სადაც თავმოყრილია ბევრი მუშა, ფრიად მძიმე და მავნე ატმოსფერა დგას.

შემდეგ, ჯანმრთელობისათვის მავნე მუშაობის პირობათ უნდა ჩაითვალოს მანქანების განყოფილებაში ქვის იატაკი. თუ ამ განყოფილებაში არ იქნა საჩქაროდ დაგებული ხის იატაკი, მემანქანეები აუცილებლად დაცივდებიან და დაავადმყოფდებიან.

არ მოიპოვება აგრეთვე საფურთხებელი ქურქლები, რაც ხელს უწყობს გადამდებ ავადმყოფობის ადვილად გავრცელებას.

მაგრამ უფრო ცუდი მდგომარეობაა ასოთ ამწყობთა სამუშაო ოთახში. ეს ოთახი მეტისმეტი ვიწროა იმ მრავალი მუშებისათვის, რომელთაც უხდებათ აქ მუშაობა. ვენტილიაციო მძიმე ჰაერი ოთახში, უფრო ფუჭდება იმ უვარგის ყუთებით, რომელიც უსარგებლოთ ყრია იქ და ქმნის უკიდურეს სივიწროეს.

ამავე ოთახში დგას ახალი სისტემის საბეჭდი ორი მანქანა, ეს მანქანები მუშაობის დროს უშვებენ ფრიად მავნე ლითონის მტვერს, რომელიც ექსპერტების შეხედულებით, დამღუპველია ადამიანის ფილტვებისთვის ამის გამო მემანქანეს გამოწერილიც აქვს ყოველ დღე ორი ორი კრუჟკა რძე, რომელსაც ის ვერასოდეს ვერ ეღირსა. ამ საშინელი საფრთხით დანაჩენი იმ ოთახში მყოფი მუშები ძალიან შეშინებული არიან და მოითხოვენ, რომ ეს ორი მანქანა გატანილ იქნეს ცალკე ოთახში, სადაც მისი მავნე გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე არ იქნება გავრცელებული ბევრ მუშაზე. აგრეთვე მემანქანეებიც მოითხოვენ დადგენილების თანახმად შეპირებულ რძეს.

ასეთი მდგომარეობა მოთმინა დაუშვებელია. ამ გარემოებას ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას შრომის ინსპექტორისას, რომელიც უნდა იყვეს ფხიზელი დამცველი არსებული შრომის დაცვის კანონების. **მერ.**

—

ცეცხლში და სიბინძურეში

გუშინ სრულიად შემთხვევით მომხვდა გავლა ელისაბედის ქუჩაზე და რომ მივუახლოვდი მთლიან მუშათა კოოპერატივის პურის საცხობს № 1, აქ, ეზოდან მომესმა ძახილი: „ამხანაგო, უკაცრავად თქვენ ჩვენ არ გვიცნობთ, მაგრამ ჩვენკი, მუშები, თქვენ გიცნობთ კარგად. თქვენ ხართ მუშათა მეგობარი, მათი სურვილის გამომხატველი და დამცველი ჩვენი ინტერესებისა. ამიტომ ჩვენი მუშები გთხოვენ, შემოიაროთ ჩვენთანაც, გაეცნოთ ჩვენ აუტანელ შრომის პირობებს და დასწეროთ რამოდენიმე სიტყვა გაზეთებში ჩვენ [illegible]“.

— თქვენ ვინა ხართ, ამხანაგო, სად მუშაობთ და რა გაწუხებთ?—შევეკითხე უცნობს.

— მე ვარ „მუშკოპ“-ის პურის საცხობის მუშა და ვმუშაობთ ჩვენ აი ამ პატარა შენობაში. შემოდით საცხობში და იქ დაინახავთ ცოცხალ სურათს ჩვენი ტანჯვისას და საქმის ვითარებასაც იქავე გაგაცნობთ.—მიპასუხა ფქვილით და პურის ზელით დათუთქულმა და დასვრილმა აღელვებულმა მუშამ.

მე დავეთანხმე ამხ. მუშას და გავყევი მას „მუშკოპ“-ის საცხობში.

საცხობი მოთავსებულია პირველ სართულში დაბალ და ყაზარმულ აგურის შენობაში. საცხობში სდგას აუტანელი სიცხე და სპეციფიური დამპალი, ნესტიანი ჰაერი, რომელიც შეზავებულია და მოწამლულია აქ მომუშავეთა ოფლის და ზელის სუნით, ფქვილის ჰაერზე დამფრინავ ფიფქით და თამბაქოს კვამლით.

ფქვილით და ზელით ყურ და თვალ ამოვსებული მუშები იწურებიან მწარე ოფლში, რომელიც გადმოხეთქა მათი ცეცხლით დამწვარ და გაწითლებულ, უზომოდ გაღეღილ მკერდებიდან და პირის კანიდან. ეს მწარე, შავი ოფლი, რომელიც ჯერ ილესება თვით პურის ზელშიში და შემდეგ საცხობ პურთან ერთად იწვის ფურნეში, შეადგენს იმ პურის აუცილებელ უფასო მიმატებას, რომელსაც ყოველი ჩვენგანი დღეში ორჯერ მაინც შეიქცევს თავის ოჯახში.

მივმართე მუშებს: „ამხანაგებო, თქვენი შრომის პირობებს მე უკვე გავეცანი, ამაზე მე ორიოდე სიტყვას დავსწერ გაზეთში, ეხლა კი მითხარით რა გაწუხებთ თქვენ და რას მოითხოვთ „მუშკოპ“-ის გამგეობისაგან და პროფკავშირისაგან?“

— ამხ. ნიკო, შენ ყოველისფერი დაწვრილებით იცი და მასთან ლაპარაკიც კარგი იცი და უამბე ამხანაგს ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირეზე!—ერთხმათ სთხოვეს მუშებმა ჭაღარა და დარბაისელ მუშას.

ამხ. ნიკო დასთანხმდა და თავაზიანად, წყნარად, დარბაისლურად მოჰყვა თავისი და მის ამხანაგ მუშების ცხოვრების სიდუხჭირის ამბავს.

ნიკოს სიტყვებიდან მე გავიგე, რომ საცხობში მუშაობს 18 მუშა. აქ მუშაობა წარმოებს დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე. მუშები დაყოფილი არიან ორ რიგად თითო რიგში მოდის რვა კაცი და აქვთ რვა საათის სამუშაო დღე.

ჯამაგირს მუშები იღებენ ძალიან მცირეს ერთი თვის და ზოგჯერ მეტი ხნის დაგვიანებით და იმასაც 25 პროცენტის გამოკლებით, რომელსაც „მუშკოპ“-ის გამგეობა უჭერს მათ ჯამაგირების გაცემის დროს პროდუქტების საფასურად მაგრამ არც პროდუქტებს იღებენ მუშები თავის დროზე. პროდუქტები, საზოგადოდ, ძალიან ცუდ თვისებისაა და მათზე მუშები უარს აცხადებენ. ამ შემთხვევაშიც კი მათ დაჭრილი ფულები არ უბრუნდებათ და პროდუქტებიც ეკარგებათ.

აქაური მუშები აუცილებლივ მოითხოვენ პროფკავშირისაგან და მუშკოპის გამგეობისაგან:—1) **საცხობში ჰიგიენიურ პირობების გაუმჯობესობას; 2) გასამრჯელოს თიანობის წინა ხნებში არსებულ ნორმაზე აყვანას;** 3) სუფთა და კარგ თვისებისა „სპეც ტანისამოს“; 4) ცალკე ოთახს მუშაობის დროს ტანისამოსის გამოსაცვლელად; 5) თითო გირვანქა კარგი თვისების საპონს ხელ პირის დასაბანად—თვეში; 6) გარდა საპონისა და პურისა, სხვა პროდუქტებზე მუშები უარს აცხადებენ და ხელფასს მოითხოვენ მხოლოდ ფულის სახით; 7) მოითხოვენ შეშას ანუ შეშის სასაფასურ ავანსს, თანახმად პროფკავშირის დადგენილებისა და 8) **გამოთქვამენ მხურვალე სურვილს სახ. სახკურკომის განკარგულებაში** გადასვლაზე, ვინაიდან შრომის პირობები და ხელფასის ზომა იქ უფრო კარგია და სამართლიანი.

ჩვენი მუშათა მოთხოვნილებანი ნამდვილად კანონიერი და რიგიანია და ისინი აუცილებლივ უნდა იქნან დაკმაყოფილებულნი.

მუშათა მეგობარი.

ეკონომიური ცხოვრება

ექსპორტი და იმპორტი.

ამიერ კავკასიის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით წარსული წლის ნოემბრის განმავლობაში ბათომის, სოხუმის, ფოთის და ბაქოს ნავთსადგურებში შემოუზიდავთ საზღვარგარეთიდან სხვა და სხვა ტვირთები წონით 356,000 ფუთი, რომლის ღირებულებაც უდრის 3,955,000 მანეთს ოქროთი. შემოტანილი საქონელი ნაწილდება შემდეგნაირად: (ათას ფუთებით).

სურსათ-სანოვაგე—227. ხის ტყის მასალები და თესლეულობა—8,0; სათბობი პროდუქტები და ფისი 1,1; ქიმიური პროდუქტები—17,7; ლითონის ნაწარმოებნი და სხვა და სხვა ლითონები—39,2; ქაღალდის და ბეჭვდითი ნაწარმოები—2,4; საფეიქრო ნაწარმოები—25.4; ტანთსაცმელი და გალანტერეია—3,9 სხვა და სხვა 32,0

სურსათ სანოვაგის შემოტანამ ბათომის ნავთსადგურით თვალსაჩინოთ იკლო 168 700 ფუთიდან სექტემბერში შემოზიდული პროდუქტების რაოდენობა დავიდა 94 300 ფუთზე. ეს აიხსნება უმთავრესად შემოტანილი შაქრის შემცირებით ნოემბერში მაგალითად, სრულ ად არ შემოტანილა სახარინი. ბაქოს ნავთსადგურით შემოზიდულმა სურსათ-სანოვაგის რაოდენობამ ნოემბერში იმატა.

პურის შემოზიდვა თითქმის უცვლელია: სექტემბერში შემოტანილია 35 ათ. ფ., ნოემბერში 36 ათ. ფ.

საერთოთ შემოტანილი საქონლის რაოდენობის დაკლება ნოემბერში გამოწვეულია თითქმის მარტო შავი ქვის და მანქანის ზეთის გაზიდვის შემცირებით.

გაზიდული ნედლი მასალები ნაწილდებიან შემდეგ ნაირად: (ათასი ფუთებით), შავი ქვა—501, ნავთი—1011, მანქანის ზეთი—784 5, მზის ხე—3,1, ნაწლევები—1,9, აბრეშუმის პარკი—1,3, ცხვრის ტყავები—2 7, ბეწვეული—0,138, ფირფიტები—1,1, სასვეტეები—4,0, აბრეშუმი—1.7, მატყლი—3,1, ძაგარი—0,063, ტყავეულობა—1,0

1922 წლის ნოემბერში დამყარდა ერთგვარი წონასწორობა ექსპორტი იმპორტის შორის: შემოტანილია—3 955 000 მანეთის საქონელი, გაზიდულია—3.315 000.

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე.

საქონლის ფასები ბაზარზე მაღლობენ. ფასები იზრდებიან უფრო სწრაფად ვიდრე ოქროს და ვალიუტის კურსი. გაძვირდა ადგილობრივი ხორბალი, ყუბანის ფქვილი, შაქარი, ჩაი, მანუფაქტურა, საპონი და სხვა. გაძვირდა აგრეთვე ტყავეულობა, მატყლი და ჯაგარი.

ფასები შემდეგია: ყუბანის ფქვილი „სეიანკა“ ფუთი—550—560 000 მან „რაზმოლი“ ფუთი—390—400 000 მან. ამერიკის ფქვილი „ნელსონი“ ტომარა 15 000 ოსმალ. ქაღ. ლირა. ადგილობრივი ხორბალი ფუთი—800—820.000 მ., ადგილობრივი ხორბალი—165—170 000 მან. შაქარი რაფინადი პოლ. ყუთი 3 ტომარი—33.000 ოსმალ. ქ. ლ. ლირა. ფხვნილი შაქარი ფუთი 8—8,200 ოსმალ. ქ ლ ლირა. სახარინი „სოსიფროსი“ კილო 53-55,000 ოსმალ. ქ ლ. ლირა. ბიაზი ს. ს. ს. პოლ. 40 იარდი 25,000 ოსმალ. ქაღ. ლირა. საზღვარ გარეთის ჩითი იარდი—38 40 პიასტრი. რუსეთის ჩითი არშინი—120-140,000 მადეპოლამი საზღვარ-გარეთის იარდი 45 60 პიას. რუსეთის მადეპოლამი არშინი 180 200,000 მ. სატინი ფრ. მეტრი—65-140 პიას. რუსეთის სატინი არშინი 140 150 ტოლეს საპონი ფუთი 750. მარსელის საპონი „მამალი“ 50 კილო 25-26 000 ოსმალ. ქაღ. ლირა.

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი. 5 იან. კერძო ბირჟა 4 იანვრისათვის: ოქროს 10 მანეთიანი—5.000 000—5 100 000 მან. ოსმალური ქაღ ლირა—470.000—480 000 მან. საბჭოთა ნიშნები—17—17,5 ერთ მილიონათ.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 4 იან. ბათომის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი. ოსმალური ლირა—390—400 000

კერძო ბირჟა: ოსმალური ქაღალდის ლირა—490—500 000 მან. ქართული ბონებით. დოლარი—190—195 პიასტრი. ოსმალ. ოქროს ლირა—850—860 პიას. გირვანქა სტერლინგი 8 5 810 პიას. ოქროს 10 მან.—1085—1090 პიას. 20 ფრანკი—230—240 პიას. 20 იტალ. ლირა—140—150 პიასტრი. საბჭოთა ნიშნები—2.600.000 ერთ ოსმალ. ქაღ ლირად

ჰიდრო-ელექტრონის სადგური

(ამხ. ნ. კიკნაძის მოხსენება თბილისის საბჭოს სხდომაზე).

ზემო-ავჭალში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენების საქმეებს გამო გერმანიაში გამგზავრების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნიკო კიკნაძე

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს გერმანიაში თავისი წარმომადგენელი ჩათახის ქარხნისათვის მანქანების შესაძენად; ტფილისის ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა ისარგებლოს ამ შემთხვევით თავის მიზნებისათვის და გაგზავნა მოხსენებელი სახ. მეურნ. უმ. საბჭოს ინჟინერთან ერთად გერმანიაში, სადაც ისინი გაემგზავრენ ივნისში ბერლინში ჩასვლისას, მომხსენებელმა გერმანიის 14 ფირმას დაუგზავნა შეკითხვები სურთ თუ არა ამ ფირმებს მონაწილეობა მიიღონ სადგურის აშენებაში. გარდა ამისა მომხსენებელმა და ინჟ. დომონტოვიჩმა დეტალურად დაათვალიერეს ბერლინის ელექტრონის სადგურები და დაახლოვებით 12 ელექტრონის ნაშენობა გერმანიის სხვა ქალაქებში და აგრეთვე 4 ქარხანა, რომელთაც უნდა ააშენონ ტურბინები.

გერმანიის ყველა ქარხნებში იმდენათ არიან დატვირთული დავალებებით, რომ მათ შესრულებას დასჭირდება რამოდენიმე წელიწადი.

დათვალიერებული იყო აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქარხნებისა, და მათ შორის სიმენსის ბერლინის ქარხანა, რომელიც წარმოადგენს მთელ მუშათა ქალაქს 60,000 მუშით.

ქარხნებმა მომხსენებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზემო-ავჭალის სადგურის პროექტების განსახილველად მოწვეული იყვნენ გამოჩენილი სპეციალისტი—ჰიდრავლიკები—ბერლინის ერთი პროფესორი და მეორე დარმშტატიდან, და სიმენსის ქარხნის წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნა პროექტები.

ამ სპეციალისტებმა გადასწყვიტეს, რომ მდ. მტკვარიდან გამოსაყვანი არხის ძალა 12 ათას ცხ. ძალ. შეიძლება აყვანილ იქნეს 40 ათას ცხენ. ძალამდე, მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება ზოგიერთი სამუშაოს წარმოება.

ამის შემდეგ ხელახლა გაეგზავნა ფირმებს შეკითხვები და პასუხის მიღების შემდეგ მომხსენებელი და ინჟ. დომონტოვიჩი გამოემგზავრნენ უკანვე თბილისში.

მომხსენებელმა და ინჟ. დომონტოვიჩმა მიიღეს მიპატიჟება შვეციის, ჩეხო სლოვაკიის ფირმებისაგან, მათი ქარხნების დასათვალიერებლად, მაგრამ ამისათვის დრო აღარ იყო.

ეხება რა გერმანიის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობას ამხ. ნიკო კიკნაძე ამბობს, რომ ამ კლასის ანტანტის იმპერიალიზმის კლანჭებიდან განთავისუფლება ძალიან ძნელია, ვინაიდან ყველა იმ ქარხნებში, რომლებიც ომის საჭიროებისათვის მუშაობდენ, დაყენებულნი არიან ინგლისის და საფრანგეთის კონტროლიორები და არც ერთი თოფის გაკეთება არც ერთ ქარხანას არ შეუძლია; ხოლო ამისათვის, რომ გადაიხადონ რეპარაციები (კონტრიბუცია) გერმანელებს უხდებათ დაამუშაონ ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა და გაიტანონ ბაზარზე სხვა ქვეყნებზე უფრო იაფად გასასაღებლად.

ეხება რა სხვა და სხვა ჯგუფების დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებასთან, ამხ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ გერმანიაში გამოდის მთელი რიგი რუსეთის შავრაზმელთა გაზეთებისა, რომელნიც ავრცელებენ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ აშკარა პროვოკაციულ და დაუჯერებელ ხმებს და ამის საილუსტრაციოთ კითხულობს გაზ. „რულიდან“ შენიშვნას საქართველოში დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაულის შესახებ, რომელშიაც აღწერილია ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩადენილი სხვა და სხვა ძალდატანებანი და დახვრეტა ხიდისთავში და ტფილისში.

ეს უცნაური შენიშვნა საერთო სიცილს იწვევს.

წარმომადგენლის ტფილისში დაბრუნების შემდეგ ქალაქის აღმასკომმა დანიშნა 12 სპეციალისტ ინჟინერებისაგან შემდგარი კომისია, სადგურის პროექტის განსახილველად, ის ნაწილი, რომელიც ეხება შეკვეთათა შესრულებას, უკვე განხილულია და ჩქარა გაიგზავნება შეკვეთა, რომელიც მომხსენებელის ანგარიშით დაჯდება 70 000 გირ. სტერლინგი, ე. ი. დაახლოვებით 70 მილიარდი მან. ოქროს 10 მან. 1 მილიონად ანგარიშის კვალობაზე საამშენებლო მუშაობას დასჭირდება დაახლოვებით 1.500 000 მან. ოქროთი.

სადგურის ასაშენებელი საშუალებანი შესდგება მთავრობის მიერ სახ. „ჩემოს“ შემოსავლიდან 30 პროც. გადარიცხვისაგან 2 წლის განმავლობაში, რაც შეადგენს 50 000 გირ. სტერლინგს და მოსკოვიც იძლევა 750 000 მან. ოქროთი, მაგრამ ყველაფერი ეს ფარავს ხარჯების ერთ ნაწილს. ჰიდროელექტრონის სადგური 2 წლის შემდეგ იქნება აშენებული.

მოხსენების დამთავრების შემდეგ, რასაც ხანგრძლივი ტაში მოჰყვა, თავმჯდომარე ამხ. ლ. დუმბაძე წინადადებას აძლევს საბჭოს წევრებს პირადად გაეცნონ ზემო ავჭალაში იმ დიდ საქმეს, რომელიც დაწყებულია და რომლის დამთავრებაც აუცილებელია, ვინაიდან ქალაქის ელექტრონის სადგური და წყალსადენი დაძველდა და ძლივს ძლივობით ხელოვნურად მუშაობს. დასკვნაში ამხ. დუმბაძე მხურვალეთ მოუწოდებს ყველას დახმარება გაუწიონ დაწყებულ საქმეს.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ სხდომა იხურება.

ქრონიკა

სრ. საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტში.

— **დახმარება ომში დასახიჩრებულთ.** სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაარსა ამხ. თ. კალანდაძის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია, რომელსაც ევალება დაუყონებლივ შეიმუშაოს დადგენილების პროექტი ომში დასახიჩრებულთა დახმარების და უზრუნველყოფის შესახებ. კომისიაში შედიან წარმომადგენლები: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ამხ. ურუშაძე, შრომის კომისარიატის—ამხ. ათაბეგოვი-თუმასი და სამხედრო უწყების—ამხ. მოზდოკელი. კომისიამ უკვე შეიმუშავა დადგენილების პროექტი და წარუდგინა დასამტკიცებლათ ც. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმს.

მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატში.

— **სახალხო მამულები.** სახალხო მამულებს მიწად მოქმედების სახ. კომისარიატმა მისცა ვენახების საზამთრო დამუშავების საშუალებანი. ამ დარგში მუშაობა გაძლიერებულის ტემპით სწარმოებს.

ამ.-კავ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში.

— **საფოსტო განყოფილებათა დახურვა.** დაიხურა უხუთლიარის, ლორის, გამდჩხანის და კარაკლისის მაზრის საფოსტო განყოფილებები.

ქალაქის აღმასკომში.

— **სამოქალაქო გადასახადის აკრეფა.** სამოქალაქო გადასახადის აკრეფა ინტენსიურად მიმდინარეობს. დღეში შემოდის 600 მილიონიდან მილიარდამდე. უკანასკნელი ვადა გადასახადის შემოტანისა საურავ გადაუხდელათ არის 7 იანვარი.

— ქალაქის [illegible] ანგარიშება. ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, მოეცეს აღმასკომის 1922 წლის მუშაობის ანგარიშები სტატისტიკური ცნობების მოყვანით. ანგარიშების შედგენა დაევალოს სტატისტიკურ საინფორმაციო განყოფილებას. ანგარიშები უნდა გამოცემული იქნას არა უგვიანეს 25 იანვრისა.

— ტრამვაის ბილეთებზე ფასის მომატება. ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ტრამვაის ბილეთებზე ფასები მომატებული იქნეს 6 იანვრიდან შემდეგი სახით: 1 და 2-რე მარშრუტი—თავისუფლების მოედანი, სადგური ან წ. ნაძალადევი—25,000 მან. სადგური—კირკის ქ—10 000 მ. სადგური—ყოფ. ზემელის აფთიაქი—15 000 მ., კირკის ქ—ყოფ. ზემელის აფთიაქი—10 000 მ., თავისუფლების მოედანი—კირკის ქ—15.000 მ., დანარჩენ მარშრუტებზე: 5,000 მ ნაცვლად—10,000 მ ნ., 10,000—15,000 მ., 15 000—20 000 მან., გამონაკლისს შეადგენს ნაძალადევის ხაზი, რომელზედაც ტარიფი რჩება ძველი—5,000 მან.

— ამხანაგობა „ხორც პროდუქტის“ პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე დაადგინა: „ხორც-პროდუქტის“ გამგეობის შემადგენლობაში ნაცვლად ორი წევრისა დამტკიცდეს სამი პირი შემდეგი წარმომადგენლობით: 1) აღმასკომის და სახელმწიფო საექსპორტო საიმპორტო სავაჭრო კანტორის (ზავგოსტორგის) თითო წარმომადგენელი. გამგეობის მესამე წევრი კი დაინიშნოს აღმასკომისა და „ზავგოსტორგის“ შორის შეთანხმებით, რომელიც ამავე დროს შეასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას; დირექტორს ტექნიკურ ხელმძღვანელობისათვის იწვევს გამგეობა. ამასთანავე პრეზიდიუმმა დაადგინა, მოხდეს „ხორც პროდუქტის“ გამგეობის რევიზია.

— საბჭოთა სახლების დათვალიერება. პრეზიდიუმმა დაადგინა: შესდგეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. ქლენტი, გ. დოლიძე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთი წარმომადგენელი. კომისიის მიზანია: გაეცნოს საბჭოთა სახლების მდგომარეობას, შეადგინოს სრული სია როგორც სახლების, ისე მათი ინვენტარის, მოაწესრიგოს სახლების მმართველობის საქმეები და შედეგი აცნობოს სადაც ჯერ არს.

— ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის. ქალაქის საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად, პრეზიდიუმმა გადასდო საარჩევნო კომისიის განკარგულებაში 50 მილიონი.

— ქართული თეატრის არსებობის 78 წლის თავის აღსანიშნავად. ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა, მიეცეს ქართული თეატრის არსებობის 78 წლის თავის აღნიშვნის დღეს 50 მილიონი ქართველ მსახიობთა კოლექტივს.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

— სიმინდის გატანა ანგორაში. სახალხო სასურსათო კომისარიატმა ცეკავშირს აცნობა, რომ ის წინააღმდეგი არ არის, გაიტანოს საქართველოდან ანგორაში 50 ათასი ფუთი სიმინდი.

— შობის ხე ბავშვთათვის. თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატის დაწესებულებათა ადგილკომების შუამდგომლობისა ამ კომისარიატმა ბავშვთათვის შობის ხეების მოსაწყობად მისცა: ცენტრალურს სამმართველოს 10 მილიონი მან., სატრანსპორტო ეზოს და ცენტრალურს საწყობს—ერთი მილიონი მ ნ., ფურნე—ერთი მილიონი მან და სასურსათო საწყობს 5 მილიონი მან.

— ტანსაცმელი მუშებს. სახალხო სასურსათო კომისარიატმა ცენტრალური და სასურსათო საწყობის მუშებს დროებით სახმარებლად ინგლისური ფარაჯები დაურიგა.

— აბრეშუმის პარკის ოპერაციების გარშემო. სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა: 1) აბრეშუმის პარკის მთელი ოპერაციის შტატი განისაზღვროს ერთი თანამშრომლით, რომლის სათავეშიც იქნება აბრეშუმის პარკის ოპერაციების რწმუნებული, 2) წინადადება მიეცეს რწმუნებულს, რათა 250 ათასი მანეთი ნაცვლად მიეცეთ გლეხებს თითოეულ ფუთ ნედლ პარკში 500 ათასი მან და 10 არშინი ფართლეული, 3) დაუყოვნებლივ დაფიქსირდეს გლეხობას 1921 წ. ჩაბარებული პარკის დავალიანება, 4) მიეცეს რწმუნებულს საწინდრად ცენტრ-საწყობიდან 60 ათასამდე არშინი ფართლეული და 5 მილიარდამდე მან. ფულად 5 და ყველა ის საქონელი, რომელიც რაიონებში აწყვია და გასაცვლელი არა აქვს, გადმოგზავნილ იქნეს ტფილისში.

ხმა და ხმა.

— შაბათს, 13 იანვარს, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების ჟურნალის „სამკურნალო მეცნიერების მოამბე“-ს ფონდის გასაძლიერებლად რუსთაველის თეატრში დადგმული იქნება ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ლოპე დე ვეგას ცნობილი პიესა „ცხვრის წყარო“—„ფუენტე ოვეხუნა“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული აკადემიური დრამის საუკეთესო ძალები. წარმოდგენის შემდეგ რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში გაიმართება ვახშამი.

— განათლების მუშაკთა სახლი. განათლების მუშაკთა სახლი აწარმოებს ფართო და ინტენსიურ მუშაობას. სახლთან არსებობს 10 ქვე სექცია: 1) საბავშვო ბაღის და შრომის სკოლის პირველი ჯგუფის. 2) მოწაფეთა თვითმოქმედების და თვითმმართველობის. 3) ინტერნატი; 4) ბუნების მეტყველება—გეოგრაფია—ფიზიკა. 5) ხელოვნების (გალობა, ხატვა, ხელსაქმე) 6) საბავშვო სახლის. 7) ქართული ენის. 8) რუსული ენის. 9) სომხური. 10) პედაგოგიური. ყველა სექციებში სწარმოებს გაცხოველებული შემოქმედებითი მოღვაწეობა პედაგოგიკის ასპარეზზე.

— ახალი წიგნი. სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ ს. ქურდიანის მიერ შედგენილი დიდტანიანი წიგნი: მეტყევეობა, ენციკლოპედიური კურსი, ტომი 1 გვერდი 474. ეს წიგნი შეიძლება ერთად-ერთ წიგნად ჩაითვალოს, როგორც იშვიათი სახელმძღვანელო მეტყევეობის დარგში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სააგრონომიო ფაკულტეტის მსმენელთათვის.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ლაკმე“.

ლეო დელიბას ოპერა „ლაკმე“ მიმზიდველია თავისი ეგზოტიური მუსიკით და ლამაზი შინაარსით. კომპოზიტორმა დაიჭირა აღმოსავლეთის კოლორიტი. შექმნა ლამაზი დუეტები, არიები და დიდი ტემპერამენტი შეიტანა თავის კომპოზიციაში. პირველ აქტიდანვე ჩანს ლეო დელიბას მანერა, მუსიკალურ ხელოვნების ახალი მიდგომა

4 იანვარს დადგმულ „ლაკმეში“ თავი ისახელა მოქ. პოპოვამ. მთავარ ქალის ვოკალური გადმოცემა უსათუოდ ვირტუოზიული არის. ამასთანავე შეგნებით და მუსიკალურად მღერის. არავითარი ფორსირობა მის კოლორატურას არ ეტყობა. პირიქით, ხმის ტემბრი სავსებით დაწმენდილია. განსაკუთრებით მოქ. პოპოვა კარგია უკანასკნელ მოქმედებაში სიკვდილის სცენა მიჰყავს გრძნობიერი დრამატიზმით.

მოქ. სარაჯიშვილი (ჯერალდი) უნდა ერიდოს ერთფეროვნებას კოსტიუმი იგივე იცვა როგორც M-me ბატერფლაიში პინკერტონის პარტიაში და პირველ გამოსვლისთანავე ამან ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. ვოკალური მხრით კარგი იყო.

[illegible]

მიწის ახალი კანონის გატარება

ლეჩხუმის მაზრაში მიწად მოწყობის მუშაობა მაზრაში დაიწყო იანვრის შუა რიცხვებში. ცენტრიდან წარგზავნილი იყო 1 მიწადმომწყობი და 5 მიწის მზომელი, რომლებიც მუშაობდნენ 6 რაიონში და 1 დეკემბრამდე საბოლოოდ მოწყობილი და დათვალიერებულია 22 სოფელი, სივრცით 24.630 დესიატინა, და დათვალიერებულია მიწის მოწყობამდე 13 სოფელი. იმ მოქალაქეთ, რომელთაც მეტი ჰქონდათ ახალ კანონის მიერ დაწესებულ ნორმაზე მეტი ჩამოერთვათ 12 258 დესიატინა და ნორმის სახით წინანდელ მესაკუთრეთ დარჩათ 19 895 დესიატინა.

კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის და სახელმწიფოებრივ საჭიროებათათვის გადადებულია ცხრა ნაკვეთი მიწა სივრცით 100 დესიატინა.

წარმოებულია აგრეთვე მუშაობა ლეჩხუმის მაზრის სახალხო მამულების გამიჯვნისათვის.

მუშაობა ზამთრის მოახლოების გამო შეწყდა.

მომავალ წელს მიწად მოწყობის მუშაობა წარმოებულ იქნება 23 სოფელში 13 ათასი დესიატინის სივრცეზე.

მაზრის მიწად მომწყობი აღნიშნავს, რომ მომავალში მუშაობის ნაყოფიერად წარმოებისათვის საჭიროა მცხოვრებლები ფორმალურად გაეცნონ ყველა დოკუმენტებს მიწის შესახებ და ამის გარდა სამაზრო და სარაიონო ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს მუშაობას [illegible], რაც მიმდინარე წელს ადგილი არ ქონია.

სენაკის მაზრის შრომის განყოფილების 1922 წ. მუშაობის ანგარიში

შრომის სახალხო კომისარიატის სამაზრო და სარაიონო შრომის განყოფილებასთან, თანახმად იმავე კომისარიატის განკარგულებისა, არსებობს მუშა ხელის აღრიცხველ-გამნაწილებელი ქვე განყოფილება და შრომის ბირჟა. თანახმად ამ განყოფილების სახელმძღვანელო ინსტრუქციისა, ჩვენ მიერ მაზრის მასშტაბით აღრიცხულია სხვა და სხვა პროფესიის უმუშევრები კაცი და ქალი სულ 506 ამავე ხნის განმავლობაში სხვა და სხვა განყოფილებიდან და დაწესებულებიდან შემოსულია მოთხოვნილებები მუშა-მოსამსახურეების მისაღებად სულ 115, თანახმად ამ მოთხოვნილებებისა, გაგზავნილია ადგილებზე სხვა და სხვა პროფესიის კაცი და ქალი სულ 105. აქედან მიღებულია 80. არ არის მიღებული სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო 25

თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებისა და მათ მიერ გადმოგზავნილი სამუშევრების ნუსხისა, ჩვენ მიერ სენაკის მაზრის მასშტაბით არის გამოყვანილი შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ანგარიშში 1600 მუშა ხელი და 1500 ტვირთსაზიდავები სხვა და სხვა მოთხოვნილებებზე; მასთან 1922 წ. იანვრიდან ვიდრე აპრილის დამლევამდე. აბაშის რაიონში ცხენის წყლის ნაპირებზე გეზათ ულუხეთში და საიქოში დამბების შესაკეთებლად გამოგვყავდათ ყოველდღიურათ 300 მუშა ტვირთ-საზიდავები, რომლითაც თუ ისე გადარჩენილი იქნა აბაშის რაიონი იმ დიდ საშიშროებისაგან რომელიც დააწვა აბაშის რაიონის მცხოვრებთ და ამას გარდა კიდევ მოელოდა მდ. ცხენის წყლის გადიდების გამო წალეკვა. მაგრამ ამავე დროს ქონდა ადგილი ერთნაირ საბოტაჟსაც, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ზოგიერთი მცხოვრებლები არ გამოდიოდენ სამუშაოდ; მათ წინააღმდეგ იქნა მიღებული ზომები. აგრეთვე თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის ბრძანებისა, ჩვენ მიერ არის გაწერილი ყველა პერიოდების შრომის და ტვირთ ზიდვის ხარკის ნაცვლად ფულები ქ. სენაკში და სენაკის მაზრის ყველა თემებში დაახლოვებით ერთ მილიარდამდე; აქედან ჯერჯეროობით შეტანილია 500.742 000 მან.

1922 წ. მაისის თვიდან სენაკის მაზრის შრომის დაცვის ინსპექტორის ეყო ლიკვიდაცია და მთელი ფუნქციები ინსპექტორის გადმოგვეცა ჩვენ; მთელი წლის განმავლობაში სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში და განყოფილებებში გაკეთებულია ძირითადი და განმეორებითი რევიზია სულ 180, როგორც დათვალიერების დროს აღმოჩნდა ქ. სენაკში შრომის დაცვის კანონები გატარებულია ცხოვრებაში შეძლების დაგვარად მდგომარეობის მიხედვით, მხოლოდ ზოგან ჰქონდა ადგილი ასეთების დარღვევას. რამოდენიმეჯერ იქნა ჩვენ მიერ მიცემული წინადადება, რათა ასეთები არ განმეორებინათ, მაგრამ განმეორებითი რევიზიის დროს 11 ადგილას აღმოჩნდა, რომ კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ საქციელს, რის გამო ჩვენ მიერ **დაჯარიმებულ იქნა 11 ქ. სენაკის მოვაჭრენი, ქ. სენაკში სულ 2,400,000 მან.**, რომელიც შემოტანილია ჩვენს სალაროში და გადაცემული დამზღვევი კასის სასარგებლოდ მუშა-მოსამსახურეების დახმარების ფონდის გასაძლიერებლად.

მაისიდან შრომის განყოფილებასთან იქნა დაარსებული **საკონფლიქტო კომისია** და ჩვენ მიერ მათთან ერთად შრომის დაცვის კანონების ფარგლებში ასეთების დარღვევისათვის გარჩეულ ა 61 კონფლიქტი აქედან, თანახმად ჩვენი დადგენილებისა, 8 კონფლიქტი გადაეცა სახალხო სასამართლოს, ვინაიდან კონფლიქტში იყო რთული და საჭიროებდა ბევრი მოწმეების დაკითხვას. ხოლო გარჩეულია ჩვენს მიერ და გათავდა მუშების სასარგებლოდ 50 კონფლიქტი, 3 დარჩა უშედეგოდ.

1922 წლიდან, როგორც ყველგან, აგრეთვე სენაკშიაც მოხდა შტატის საგრძნობი შემცირება, რის გამო სენაკის მაზრაში მოიყარეს ათეულობით უმუშევრობამ თავი, რომლებიც უკიდურესი მდგომარეობაში იყვნენ ისინი ვარდებოდნენ მოიჯარადრეების ზრუნველებში, რომლებიც აძვალ-ტყავებდნენ მუშებს. მივაქციეთ რა ამას ყურადღება იანვრის პირველ რიცხვიდან ჩვენ დავაარსეთ არტელი, რომელშიაც პირველ ხანებში შერიცხული იყო 1500 სხვა და სხვა პროფესიის მუშები არტელის მუშებმა გამართეს საკუთარი სამკითხველო, სადილო და საპარიკმახერო, აგრეთვე თავშესაფარი; მუშები ასე თუ ისე გადარჩნენ მოიჯარადრეების ბრჭყალებს. მუშები ამუშავებდნენ თითქმის მთელი სამუშევრებს როგორც რკინის გზაზე, აგრეთვე კერძო სახლში და თითქმის დაიჭირეს მოიჯარადრეები რომლებიც დღემდის ყვლეფდნენ მუშებს და აგრეთვე მთავრობასაც. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ არტელში მოიყარეს თავი არა სასიამოვნო ელემენტებმა, რომელთაც უნდოდათ ამ არტელის დაშლა. ამიტომ ჩვენ მოვახდინეთ არტელის მუშების გაწმენდა. შემდეგ გადავეცით სამპროფესიულოს თავისი საბუთებით და ჩვენ მიერ აღებული სამუშევრებით, შრომის ბირჟაში ყოველთვის ჰყავს კვალიფიციური და უბრალო მუშები და თანახმად მოთხოვნილებებისა, ვაძლევთ სამუშაოს ამ მუშებს; აგრეთვე გაკრულია ჩვენ მიერ განცხადებები და სისრულეში მოგვყავს შრომის ბირჟის გარეშე მუშების დაქირავების აკრძალვა, როგორც კერძო, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება—წარმოებისათვის. წ. წ. ბოლო რიცხვებიდან შემოერთებულია სენაკის მაზრაში მარნის თემში, სოფ. საჯიჯაოში, არსებული ხე ტყის ქარხნის მუშები 120 კაცი.

კოლექტიური ხელშეკრულებები დადებული პროფესიონალურ კავშირებს და სხვა და სხვა დაწესებულებების შორის ჩვენ მიერ დამტკიცებულია რიცხვით 8, აქა იქ სათანადო შესწორებების შეტანით

ზედმეტი ნამუშევრების ჯილდოს მისაღებად სხვა და სხვა დაწესებულებებზე მთელი წლის განმავლობაში ნებართვა მიცემულია ჩვენ მიერ სულ 20 რ, სათანადო საბუთების წარმოდგენის და ასეთების კანონიერად ცნობის შემდეგ.

თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული და შემოღებული ახალი სახის საანგარიშო წიგნაკების, ჩვენ მიერ დარიგებულია მუშა-მოსამსახურეებზე ათასი ცალი საანგარიშო წიგნაკი, ამასთან ვძლევით სათანადო განმარტებას და ვაკეთებთ რევიზიებს, არის თუ არა დაცული და სისრულეში მოყვანილი შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება ამ დარგში.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მაისის თვიდან, სენაკის მაზრის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ეყო ლიკვიდაცია, მისი ფუნქციები მთელი საბუთები და ინვენტარი, გადმოგვეცა ჩვენ და მოსამსახურეები იქნა დათხოვნილი, ამ საქმეების გადმოღების შემდეგ, ჩვენ ამასაც მივაქციეთ სათანადო ყურადღება. ვინაიდან პენსიონერები და ინვალიდები განიცდიან უკიდურეს მდგომარეობას მაგრამ პენსიის სახით დანიშნულ თანხის მიცემა ვერ შევსძელით უსახსრობის გამო, მხოლოდ საერთოდ გაჭირვებულ მცხოვრებლებზე ჩვენ მიერ დარიგებულია დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან მიღებული 400 ფუთი ქვავი და სიმინდი, მასთან აღმოჩენილია დახმარება ხე ტყის მასალის უფასოდ მიცემით.

(დასასრული იქნება)

შრ. განყ. გამგე **ა. ნადარეიშვილი.**

პროვინციაში

ლანჩხუთი

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ლანჩხუთის თეატრი ამეტყველდა 23—24 დეკემბერს ავტორის თანდასწრებით წარმოდგენილი იქმნა № 21† (ნომერი ოცდაერთი ჯვრით) მოგვეჩვენათ პიესა რევოლიუციონურია, მაგრამ ის არ წააგავს იმ პიესათა ჯგუფს რომლის წარმომადგენელია „რევოლიუციის ტალღები“, და რომლებიც უფრო ისტორიას მოგვაგონებს, ვინემ ხელოვნურ ნაწარმოებს. ია ეკალაძის პიესაში არის ადამიანის ფსიქიური განცდათა კვანძი, რის გამო ის დიდ ხანს შე ნარჩუნებს კიდეც მსმენელებს

ლანჩხუთის სცენაზე № 2 † დადგმული იქმნა ჩატარდა ისე, რომ მადლიერი დარჩა არამც თუ აუდიტორია, არამედ თვით ავტორიც, ალბად დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდებოდა რეჟისორს, (ვ. ჩიმაკაძე) რათა სრულიად ახალი ძალებით ასულიყო იმ სიმაღლეზე. სადაც არ ირღვეოდა ხელოვნების პრინციპები დიდი ცოდნა, იყო საჭირო რათა თეატრზე გულაცრუებულ ლანჩხუთის აუდიტორიაში. კვლავ აღეძრათ თეატრისადმი ინტერესი ეს შეძლო ხსენებულმა წარმოდგენამ

— პიესის დამთავრების ხალხი დარბაზიდან არ გამოდიოდა, აუდიტორიამ მოითხოვა ავტორი რეჟისორი და ოვაციებით და ტაშის ცემით დააჯილდოვა. ლანჩხუთის ხალხი იმედოვნებს, რომ ვ. ჩიქაკაძე მომავალშიაც არ გააცივებს ლანჩხუთის სცენას და სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს.

გ. ხარამი.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით, საქ. სახალხო კომისართა საბჭოს და ს. ს. ც. ა. კომიტეტის საკულტურო-საგანმანათლებლო კომისიის სახელით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ არტისტ გაზალიუსს და მ. კავსაძის ქართულ გუნდს მათი უსასყიდლოთ მონაწილეობისათვის საღამოზე, სასახლეში 31 დეკემბერს.

აგრეთვე მადლობა ყველა ამ საღამოზე მონაწილეთ.

კომისიის თავმჯდომარე
არ. გაბუნია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 67

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

წარმოებაში მოზარდთა სავალდებულო რიცხვის და წესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც შტატების შემცირების დროს სხვა და სხვა წარმოებაში ხდება მოზარდთა რიცხვის არა პროპორციონალური შემცირება, რაიც საფრთხეს წარმოადგენს კვალიფიკაციური მუშა ძალის სწორი აღდგენისათვის, ამიტომ ქვემოდ ჩამოთვლილ სამრეწველო დარგებისათვის სათანადო წარმოებაში ყველა მომუშავეთა რიცხვთან შეფარდებით, დაწესებულ იქნეს სავალდებულო პროცენტი რომელზე ნაკლები არ შეიძლება იყოს ამ წარმოებაში რიცხვი 15—16 და 17 წლიან მოზარდებისა.

2. მრეწველობის დარგები, რომლისთვისაც წესდება მოზარდთა ეს სავალდებულო და მინიმალური პროცენტი და ამ მინიმუმის რაოდენობა თვითეულ ცალკე დარგში წესდება შემდეგი ცხრილის მიხედვით.

მეტალურგია და მეტალის დამუშავება 8 პროც., ბამბის დამუშავება—6 პროც., მატყლის—8 პროც., აბრეშუმის—5 პროც., ბოჭკოს (ვოლოკნო) შერეულ ნივთიერებათა დამუშავება—5 პროც., პოლიგრაფიული წარმოება—13 პროც., ხე-ტყის სახერხი წარმოება—5 პროც., ფირფიცარის (ფანერაია) წარმოება—6 პროც., ხის დამუშავების წარმოება—10 პროც., შუშის წარმოება—15 პროც., ცემენტისა და ცეცხლშეუპოვარი აგურის წარმოება—5 პროც., კირისა და ალებასტრის წარმოება—4 პროც., მსხვილი ტყავეულობის ქარხნები—3 პროც., წვრილი ტყავეულობის ქარხნები—5 პროც., სახარატო და უნაგირ-ფეხსაცმელების ქარხნები—20 პროც., ბეწვეულის (მეხოვაია) მრეწველობა—5 პროც., საკანდიტრო—10 პროც., წისქვილები—4 პროც., საკონსერვო (თუნუქისა და კონსერვების განყოფილების და დამხმარე სამუშაოების თანდართვით) წარმოება—5 პროც., ზეთის სახდელის (მცენარეულობის) წარმოება—5 პროც., თამბაქოსა და გილზის წარმოება—7 პროც., ძირითადი ქიმიური მრეწველობა—5 პროც., ნახშირისა—6 პროც., ტანისამოსისა და ტუალეტის—7 პროც., ჩაის წარმოება—5 პროც.

3. მეორე მუხლში აღნიშნული მოზარდთა რიცხვის განსაზღვრული მინიმალური ნორმა სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებისათვის.

4. ყველა წარმოება, სადაც 15—16 და 17 წლიან მოზარდთა რიცხვი მე-2-ე მუხლში აღნიშნულ პროცენტზე ნაკლებია, ვალდებულია გაადიდოს მოზარდთა რიცხვი დაწესებულ ნორმამდე არა უგვიანეს 1923 წლ. თებერვლის 1-სა.

5. იმ წარმოებაში, სადაც მოზარდთა რიცხვი მე-2-ე მუხლში დაწესებულ ნორმას აღემატება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი შემცირება.

შენიშვნა: უკეთუ მოზარდთა რიცხვის შემცირება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ასეთი შემცირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს და საქ. ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ორგანოების დასტურით.

6. შრომის სახალხო კომისარიატს—საქ. პროფკავშირთა საბჭოსა, საქ. ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირისა და სათანადო სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით უფლება აქვს: ა) დააწესოს სავალდებულო პროცენტული მინიმუმი მეურნეობის იმ დარგებში, რომელიც ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის; ბ) წარუდგინოს ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს განცხადება დაწესებული ნორმის შეცვლის შესახებ.

7. დაევალოს შრომის ინსპექციას განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებათა მიერ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შრომის სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 2
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს, 8 იანვარს პარტიის მე-2 რაიკომის შენობაში, საღამოს 6 საათზე დაიწყება ა. ესსენის მარქსისტული წრის მეცადინეობა.

ტფილისის კომიტეტის სააგიტ. საპროპ. განყოფილება.

პროფესიონალური

— წინაგან საქ. სახ. კომისარიატის მიერ დანიშნულია დასახიჩრებულთა კავშირის რევიზია. სარევიზიო კომისია შეუდგა მუშაობას 2|1 და მიმართავს ყველა, როგორც სახელმწიფო ისე კერძო დაწესებულებებს და აგრეთვე მოქალაქეებს, ვისაც აქვს პრეტენზიები და მასალები წერილობის სახით გადაუგზავნოს მას შემდეგი მისამართით პეტროგრადის ქუჩა, № 3, დასახიჩრებულთა კავშირი.

განცხადებები

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები კონსტანტინე [illegible] ძე, ვასასი მიხეილის ასული და თამარა კონსტანტინეს ასული, ბებია [illegible] ბაქრაძისა, ძმა ალექსანდრე ანთ. ძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს უდროვოთ გარდაცვლილი მათი საყვარელი

მიშიკო კონსტანტინეს ძის
ბაქრაძის

გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე 8 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ წირვისა 1 საათზე პანაშვიდი. (16-2-1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

ორშაბათს, 8 იანვარს
აიდა
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ 20 2-1)

1923 წელს 11 იანვარს,
ამიერ-კავკასიის რკინის გზის
სამეურნეო-მატერიალურ
სამსახურში

დანიშნულია ფასების კონკურენცია რკინის გზისათვის 2,500,000 ცალი რუსული საშენი აგურის მიწოდებაზე.

ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურენციაში და იკისროს თავის თავზე აგურის მიწოდება, უნდა შემოიტანოს წერილობითი განცხადება სამეურნეო-მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე, არა უგვიანეს 11 იანვ. დღის 12 საათისა, ეს განცხადება დახურულ კონვერტში წარწერით: „11 იანვ. კონკურენციისათვის“: უნდა ჩაუშვან განცხადებისათვის მატერიალურ სამსახურთან გაკეთებულ განსაკუთრებულ ყუთში, განცხადებასთან ერთად უნდა იყოს კვიტანცია რკინის გზის სამმართველოს კასაში გირაოს შეტანის შესახებ, რაც შეადგენს მისაწოდებელ აგურის ღირებულების 5 პროცენტს

სამ.-მატერიალური სამსახურის უფროსი
ხატისოვი.
(კრ. 12-3-2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით, რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ გართულებათა.
სამკურნალოს აწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733-25-7)

დოქტორი გ. მეგრაბიანცი
ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა
შინაგანი ფილტვების—შლეჩი და გულის ავადმ. სპეც. წამლობა მალარიისა ზაშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9-12 ს. დღის და 5-7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (63425-24)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის
საფარმაცევტო
განყოფილება
ამით აცხადებს, რომ საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის [illegible] თანახმად, რომელიც [illegible], იმ რეცეპტების მიღება, რომელიც გაურკვევლად ან ძალიან შემოკლებით იქნება დაწერილი, აფთიაქების მიერ სავალდებულო არ არის, რათა წამლების უწესოთ გაცემით ავადმყოფებს დახმარების მაგიერ ზიანი არ მოუვიდეთ.
ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ფარმ. განყოფილების გამგე—ბ. საბაშვილი.
(კრ 22-3-1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა
სამმართველო
ამით აცხადებს
მგზავრთა
საყურადღებოდ,
რომ სოღანლუღის ხიდის აღსადგენად, სოღანლუღ-ნავთლუღის შორის მატარებლის პირდაპირი მიმოსვლის შეჩერების გამო 9 იანვარს მატარებელი № 3 ტფილისიდან ერევნამდე და მატარებელი № 4, ერევნიდან ტფილისამდე და 10 იანვარს მატარებელი № 25—24 ტფილისიდან ჯულფამდე გაუქმებულია; გარდა ამისა აღნიშნულ მიზეზების გამო, მატარებელი № 26, რომელიც ჯულფიდან გამოვა და 7 იანვარს ჩავა მხოლოდ ალექსანდროპოლამდე 9 იანვარს და უკან გამოვა ალექსანდროპოლიდან ჯულფამდე 11 იანვარს, ხოლო ალექსანდროპოლიდან ტფილისამდე ეს მატარებელი 9 იანვარს გაუქმებულია.
(კრ. 21-1-1)

ამიერ-კავკასიის
რკინის გზათა
სამმართველო
აცხადებს
ყველას
საყურადღებოდ,
რომ თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 31 მაისის და საკავშირო საბჭოს 14 სექტემბრის
დადგენილების
თანახმად შედგენილი სამმართველო შეუდგა მუშაობას.
ყველა კომერციულ და სამეურნეო საკითხების გამო საჭიროა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს, რომლის მისამართია: ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1.
ტელეფონები: თავმჯდომარე 5—40, თავმჯდომარის მოადგილე და გამგეობის წევრთა—8—70 საერთო—4—68.
(კრ. 24-3-1)

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე
[illegible] ნინო, ალექსანდრე, გიორგი და სერგეი ბოგდანის ძე ხითაროვებს პუბლიკაციის დაბეჭდვიდან ორი თვის ვადაში გამოცხადდნენ [illegible] ერნესტ გუმელის კერძო საჩივრის შესახებ [illegible] ნოტარიუსის მოქმედებაზე ნასყიდობის სიგელის დამტკიცების თაობაზე გრიგოლ არუთინანცის სახლზე და აფრთხილებს მათ, რომ თუ ორნი არ გამოცხადდებიან ან არ გამოგზავნიან თავის რწმუნებულს საქმე მათ დაუსწრებლათ გაირჩევა.
(12-1-1) სახალხო მოსამართლე მ. ჩხეიძე.

დაკარგა წიგნაკი მიცემული შეერთებული სამხედრო კომისარიატიდან მიხეილ [illegible] სახელზე. № 1723 ჩაითვალოს გაუქმებულად.
(17-1-1)

[illegible]

[illegible] მე-2 სტამბა [illegible] ქ. № 4.